

გურამ ბათიაშვილი

არწივის ფრთებზე

დოკუმენტური პიესა 4 სურათად

მოქმედი პირნი:

დავით ბენ-გ ურიონი -- ისრაელის პრემიერ-მინისტრი

გოლდა მეირი -- ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი

ადოლფ ეიხმანი -- ფაშისტი, გესტაპოს მეოთხე
განყოფილების ყოფილი უფროსი

აბდალა -- იორდანის მეფე

ჯოელ ბრანდი -- უნგრეთის ებრაული კომიტეტის წევრი

სტიუარტი -- აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის
წარმომადგენელი

მოქმედების დრო: 1-6 სურათისა -- 1960 წლის მაისი,
მე-7 სურათისა -- 1961 წლის დეკემბერი.

ბრჭყალებში მოქცეული ტექსტები ამოღებულია ისტორიული დოკუმენტებიდან

დავით ბენ-გურიონის სამუშაო ოთახში თვალში გხვდებათ ტელეფონების, გაზეთების, წიგნების სიუხვე.

სცენის კუთხეში დიდი აქვარიუმი და ტახტი დგას.

საშუალოზე დაბალი, 74 წლის პრემიერ-მინისტრი ცხვირსახოცით ინიავებს სიცხეს, ხან გაზეთს წაავლებს ხელს. გოლდას დაბნეული, დაფანტული შესცქერის. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაფანტულობა ნიღაბი უფროა, ვიდრე რეალობა..

დავითი. ოჰ, ოჰ, ოჰ! რა ამბავია, ლამის შეგვკამონ! (ბუზების საკლავს აიღებს, მსუბუქად დააბიჯებს, ბუზებს ფრთხილად ეპარება). აბა, როგორ გინდა, რამდენი საუკუნე არ იყო ჩვენი ხალხი სახლში, ბუზები მოძრავლდებოდნენ! რა მითხარი?

გოლდა. დიდი აურზაურია მოსალოდნელი, ძალიან დიდი. ეს ამბავი კარგს არაფერს მოგვიტანს.

დავითი. ჰო, რაო?!

გოლდა. 15 საათი გავიდა, რაც ისრაელში ჩამოვიყვანეთ... (პაუზის შემდეგ). შესაძლოა, ქუხილი ყოველ წუთს დაიწყოს...

დავითი. მართლა ებრაელი ხომ არ არის? გადაგვარებული ებრაელი რამდენი ვიცით! (ბუზების საკლავი მოიქნია). უჰ, ისევ ავაცდინე!

გოლდა. არა! პარტიაში ებრაელობის სპეციალისტად მიიჩნევდნენ! და ამ სამყაროს კარგად შესწავლა გადაწყვიტა. ჰეიდრიხის და ჰიმლერის ყურადღებაც კი მიიქცია და გესტაპოში მეოთხე განყოფილება ჩააბარეს.

დავითი. გესტაპო, გესტაპო! (ბუზებს ფრთხილად ეპარება, რამდენიმეჯერ საკლავსაც კი მოუქნევს, ამაოდ). შენ როგორ ფიქრობ, სად მეტი ბუზია -- იერუსალიმში, თუ თელ-ავივში?

გოლდა. არაბულ ბაზარზე, რასაკვირველია!

დავითი. (მოულოდნელად). ხომ შეიძლება, ეს კაცი ის კაცი არ იყოს?!

გოლდა. ვერ გავიგე.

დავითი. თუ ჩვენ ის კაცი კი არ წამოვიყვანეთ, ვისაც ვეძებდით -- ნაცისტი ბოროტმოქმედი ადოლფ ეიხმანი, არამედ სხვა... რაო, რა მქვიაო?

გოლდა. რიკარდო, რიკარდო კლემენტი ვარო.

დავითი. და თუ ეს კაცი მართლა რიკარდოა... რიკარდო კლიმე...

გოლდა. კლემენტი!

დავითი. ჰო, ეგრე იყოს!

გოლდა. მოსადი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა!

დავითი. შეცდომა ყველას მოსდის, ყველას! თუ ეს ის კაცი არ არის?!

გოლდა. (გამოსავალი მონახა). მითუმეტეს უნდა შევიკავოთ თავი, არაფერი არ გამოვაცხადოთ. (პაუზა) ერთი მომენტი გამომჩნა, ყველაზე მნიშვნელოვანი. ავსტრიასა და გერმანიაში ებრაელთა აწიოკებას ეგ ხელმძღვანელობდა. თავდასხმები, დარბე-ვები, გადაწვა, სინაგოგებში შევარდნა, წმინდა წიგნების დაფლეთვა. ყველაფერი ამის მოფიქრებულია. ამით ეწადა ებრაელებს თავიანთი სახლ-კარი, ქონება დაეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ.

პაუზა.

დავითი. ჰო, რას ამბობდი, როგორ მოვიქცეთ?

გოლდა. გვაქვს ორი გზა. პირველი: ვისხდეთ ჩუმად, ხმაგაკმედილნი, არაფერი ვთქვათ, რა ხმაურიც არ უნდა ატყდეს, თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს ჩვენ არაფერი გვეხება. **დავითი.** ვთქვათ და გამოაცხადეს, რომ ის ფაშისტი ჩვენ მოვიტაცეთ. მაინც უხმოდ ვისხდეთ?

-3-

გოლდა. თუნდაც ის თქვან, ამაღამ რიცხვში, ამაღამ დღეს გაიტაცესო. არც არაფერი გვესმოდეს, არც...

დავითი. დამნაშავის ასე დასჯით, ჩვენ ჩავდივართ დანაშაულს. სახელმწიფო შურისძიების გზას ვერ დაადგება. შურისძიება უზნეობაა! ღმერთიც გვიკრძალავს, (პაუზა). კიდევ რას მთავაზობ?

გოლდა. არგენტინა, კატეგორიულ პროტესტს გამოგვიცხადებს, (დავითი თავს გააქნევს რა გაწყობაო). შესაძლოა, ჩვენთან ვაჭრობაც კი შეწყვიტოს.

დავითი. ეს ძალიან ცუდია.

გოლდა. არგენტინასთან ძალიან კარგი სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს.

დავითი. კიდევ? კიდევ რა შეიძლება მოჰყვეს სიმართლის თქმას?

გოლდა. თუ სხვა სახელმწიფოთა მხარდაჭერა იგრძნო, იქნებ... (პაუზა) მოსალოდნელია ჩვენი ელჩი გამოაბრუნოს.

დავითი. შორს მიდისარ, ძალიან შორს, ნუთუ, ერთი ფაშისტისათვის ამდენი ხმაური ატყდება!

გოლდა. სამხრეთ ამერიკელებს არგენტინა უყვართ. ხალხს... მთავრობებს, რამდენიმე სახელმწიფოს კი განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს.

დავითი. ისინიც წაგვეკიდებიან? ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობას გაწყვეტენ?

გოლდა. არგენტინას მართლაც არ დატოვებენ, შესაძლოა, სოლიდარობა გამოუცხადონ... ჩვენთან ვაჭრობა მაინც შეწყვიტონ...

დავითი. გამოდის... ეს ხომ იმას ნიშნავს... გამოდის, ამ სახელმწიფოებთან ვაჭრობის საშუალებაც არ გვექნება. (გოლდა სინანულით გააქნევს თავს. დუმილი). რამდენმა სახელმწიფომ... შენი აზრით, რამდენი სახელმწიფო დაუჭერს მხარს?

გოლდა. სამი-ოთხი... თუმცა... (ფიქრობს). ვთქვათ ოთხი, კი, ზუსტად ოთხი სახელმწიფო.

დავითი. ეს კი იმას ნიშნავს... ვაჭრობის კიდევ უფრო შემცირება მოგვიწევს. ბიუჯეტის რამდენ პროცენტს ვკარგავთ? (გოლდა მხრებს აიწურავს. დავითი წამოდგება. მაგიდასთან მიდის, რაღაცას დაეძებს, ბრაზობს) უცნაური ქალია ეს ნურითი -- ყველაფერი თავის ადგილას უნდა იყოსო და მაგიდაზე არაფერს მიჩერებს, თითქოს ყველგან ყველაფერი თავის ადგილზე იდოს და ეს ერთი ჩემი დავთარი არღვევდეს მსოფლიო ჰარმონიას! (კარადიდან მოზრდილ დავთარს გადმოიღებს, შიგ რაღაცას დაეძებს. ჩაიხედავს) დავუშვათ... ამის ნახევარიც რომ იყოს (შეშფოთებული) იცი, რა გამოდის? უამრავ, ათასობით ბავშვს უნდა წავართვათ სწავლის უფლება... ნაპარიაში სკოლები არ გვეყოფნის. ბავშვები ქუჩაში იზრდებიან... თელ-ავივში? თელ-ავივში თერთმეტი სკოლა გვაკლია, ვერც აშკენონის საავადმყოფოს ავაშენებთ... (სავარძელს მიუბრუნდება, უღონოდ ჩაეშვება შიგ. კარგა ხანს დუმს). აჰა, ესეც სიმართლე!

გოლდა. სიმართლეს უსიამოვნებანი მოსდევს, დღეს უმჯობესია გავჩუმდეთ. არაფერი ვთქვათ, ახლა სიმართლის ღალადი ხელს არ გვაძლევს. არა-რა განცხადება არ გავაკეთოთ. დამნაშავე ჩვენს ხელთაა, ბოროტმოქმედი ცხრაკლიტურში გვყავს. გავასა-მართლოთ.

დავითი. ეს შურისძიებაა და არა სამართლიანობის დღესასწაული. სახელმწიფოს შურისძიების უფლება არა აქვს.

გოლდა. დამნაშავე ხომ დაისჯება!

დავითი. დამნაშავე ვინ არის, გოლდა! დამნაშავე ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, კაცი, რომელსაც შესაძლოა კუჭი, ან კბილი ისე ტკივა, სიკვდილს ნატრობს... არა, ჩვენ მთელი მსოფლიოს თვალწინ, ქვეყნიერების დასანახად, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული უნდა გავასამართლოთ, და-ნა-შა-ული! დანაშაული და მასთან ერთად მისი ათასობით ცოცხალი, თუ იმქვეყნად წასული აღმასრულებელი, სამართლიანობის

4-

ურემი შესაძლოა, მიჭრიალებს, მაგრამ მაინც მიღის, მოძრაობს.

გოლდა. აუცილებელი არ არის, ამის გამო ჩვენი სახელმწიფო დაზარალდეს.

დავითი. როცა იოსები, თუ რუთი, იოშუაყი თუ ესთერი, სიმონი, თუ ლეა დარწმუნდებიან, რომ მათს სამშობლოს ძალუძს ბოროტებას ყელში სწვდეს, გამარჯვების სიხარული ძღვეს ზარალს.

გოლდა. ის არ არის საკმარისი, რომ ექვსი მილიონი ნათესავი – დედა, ძმა, და მეგობარი გაგვიწყვიტეს?..

დავითი. ექვს ადამიანზე ლაპარაკიც საკმარისია... მელაპარაკე ექვს ადამიანზე, ადამიანებზე. ამთვან ერთი, ახალგაზრდა ფერმკრთალი ქალია, რომელიც ახლახან გათხოვდა მეზობელი უბნის მეპურე, გრძელუღვაშა ბიჭზე. რა ბედნიერი იყო: ყოველ ღამე სუნთქვაშეკრული ეკვროდა ქმარს. სამიოდე დღის წინათ იგრძნო, რომ ფეხმ-ძიმედა... აი, ეს კი, ეს მწითური რაბი?! გამთენიიდან საღამომდე ლოცულობდა, ან ფსალმუნს კითხულობდა. სხვა არაფერი აინტერესებდა... არც რამ იცოდა... ფაშის-ტებსა და მეფსალმუნე მეფე დავითის მადევარ ფილისტიმელებს, ერთმანეთისგან ვერ არჩევდა. მესამე, გინდ მეოთხე მოხუცი, უსინათლო ქალი... თავის უბანში ჯოხის ბაკუნით იკვლევდა გზას. ამის სიცოცხლე ფაშიზმს რას აკლებდა? არაფერს! მაგრამ ებრაელი იყო.. ებრაელი! (ჩუმდება. ღუმილი.) ეს ბიჭუნა?! ეს იეჰუდა მენუხინის ძმა! მასზე უფრო ნიჭიერი, ათგზის ნიჭიერი! ამის ხელში ხემი გესაუბრებოდა, ის კი... ის კაცი ხანუქაში ისეთ ფუნთუშებს აცხობდა, ვარშავის ყველა ებრაელი მისკენ მოეშუ-რებოდა. ექვსი მილიონი... ექვსი მილიონი სტატისტიკაა, ებრაელი ხალხის მომავლის მოსპობას რომ ლამობდა, ექვსი ადამიანის სიცოცხლეს გავუფრთხილდეთ, თუ ყოველი ადამიანის სიცოცხლეს დავიცავთ, კაცობრიობა გადარჩება. (პაუზა) ქვეყნიერებას უნდა ვამცნოთ, რომ ბოროტმოქმედს ისევე ვდევთ, დავეძებთ და ვსჯით, როგორც მეფე დავითი სჯიდა ფილისტიმელებს. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ ისრაელი ყოველი ებრაელის სამშობლოა და ჩვენ ყოველი ებრაელის, გარდაცვლილის, ცოცხალის, სახელით გავასამართლებთ ეიხმანს.

გოლდა. (უკმაყოფილოა). ორი თხოვნა მაქვს: ნუ დაივიწყებ, რომ მე გაგაფრ-თხილე, თუ რამდენი წინააღმდეგობა შეხვდება სახელმწიფოს, რა ზიანს მოგვაყენებს ეს აქცია, როგორ დააქვეითებს...

დავითი. (აწყვეტინებს).. შენ ვალდებული ხარ შეარბილო უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი, კოლეგები დაარწმუნო, რომ სწორად ვიქცევით, რომ ბოროტება უნდა დაისაჯოს, რომ ისრაელი ყოველი ებრაელის სამშობლოა.

გოლდა. მეორე: განცხადებაში უსათუოდ უნდა ახსენო ექვსი მილიონი ებრაელი -- ჩვენი დედები, ძმები, დები, მამები. ფაშისტებმა რომ დაგვიხოცეს (დავითი თავს უხმოდ გააქნევს,) ამ განცხადებას მსოფლიო მოისმენს და წაიკითხავს.

დავითი. ვნახოთ, მოვიფიქროთ.

გოლდა. მოსაფიქრებელი ის არის, გამოვაცხადოთ თუ არა! ჩვენი ოპონენტები თავს დაგვესხმიან და მართალიც იქნებიან. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სხვა კონტინენტზე ლამის კრიმინალური ოპერაცია ჩავატარეთ.

დავითი. კრიმინალური? კრიმინალი ის არის, როცა სახელმწიფოს ასეთი ბოროტმოქმედები აფარებენ თავს.

გოლდა. რით არ არის კრიმინალი. თვეების განმავლობაში უცხო სახელმწიფოში... კულში ვღვეთ ადამიანს. მერე ქუჩაში ვიტაცებთ... მიგვყავს კონსპირაციულ ბინაში... მერე არგენტინის რესპუბლიკის 150 წლისთავზე სპეციალური თვითმფრინავით სახელმწიფო დელეგაციას ვგზავნით, დელეგაციის წევრების უკან დაბრუნებისას არცერთმა მათგანმა არ იცის, რომ საბრალო ავადმყოფი მეცხრე რიგში უგონოდ რომ ზის,

-5-

იმდენი მორფი გაუკეთეს, რა გამოაფხიზლებდა – მათი მამების, ძმების, შვილების მკვლელობა. ვერაფრით ვერ გავიმართლებთ თავს.

დავითი. შენი, საგარეო საქმეთა მინისტრის, ვალია მოიფიქრო არგენტინელთა პროტესტს რა საფანელი შეაგებო.

პაუზა, რომლის განმავლობაში გოლდა საყვედურით შესცქერის პრემიერ-მინისტრს.

გოლდა. მეჩვენება, რომ დაგავიწყდა: მე არ მეწადა საგარეო საქმეთა მინისტრობა. სამი თვე უარს ვამბობდი, შინ ვიჯექი, სამსახურშიც კი არ მოვდიოდი. შენს დაჟინებას ვერ ვძლიე.

დავითი. (რბილად, თავშეკავებულად). მახსოვს, ჩემო გოლდა, ყველაფერი მახსოვს! (პაუზა). იქნებ, მართალი ხარ, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების წესი დავარღვიეთ, მაგრამ... მაშინ სად იყო მსოფლიო, როცა ყველა ებრაელის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მხოლოდ იმიტომ რომ ებრაელი იყო... მაშინ რატომ არ დაიცვეს წესი... სიკვდილი ყოველთვის საშინელებაა, ამათ სიკვდილიც გააუბრალოეს -- ადამიანის სხვა სამყაროში გადასვლა.

გოლდა. მოვიტაცეთ.

დავითი. იმ ადამიანების სამშობლოში ჩამოვიყვანეთ, რომელთა ხოცვის სკოლაც შექმნეს.

გოლდა. მაგრამ ამისთვის არ არის საჭირო ხმაური. ნუ გამოვაცხადებთ, ვიყოს ჩუმად, უხმოდ დავსაჯოთ...

დავითი. არა, ჩვენ სახელმწიფო ვართ. ჩვენი მთავარი ძალა მართლმსაჯულების აღსრულება და... (ბუზის საკლავი მაგიდას დაარტა) აჰა!

გოლდა. პატარა სახელმწიფო რომ ვართ და თავს ათასი გასაჭირი გვადგას, კიდევ ერთი არ უნდა დავიმატოთ.

დავითი. (ერთხანს ფიქრობს). თუ ხალხს ვეტყვით, რომ ვეძებდით, აღმოვაჩინეთ და ისრაელში ჩამოვიყვანეთ ჯალათი, რომელმაც შენი შვილი, დედა, ძმა, მეგობარი, მეზობელი დახოცა... და თუ ჩვენ მას კანონის მიხედვით გავასამართლებთ... ებრაელებს გაუჩნდებათ საკუთარი თავის რწმენა, სიამაყის გრძნობა თავისი მთავრობის გამო... დაინახავენ, რომ მთავრობა მათი ბედის გამგებელი კი არაა, ზრახვების შემსრულებელია.

გოლდა. არ არის, არ არის დღეს ამის დრო... სხვა ათასი თავსატეხი გვაქვს. ორიოდ საათის წინ ჩემთან იყო შეერთებული შტატების ელჩი ლოუსონი.

დავითი. (ცივად). და კვლავ მოითხოვა, გამოვიყვანოთ ჯარი ეგვიპტის ტერიტორიიდან სინაიდან და ღაზას სექტორიდან.

გოლდა. ლოუსონმა შემახსენა, რომ გაერომ მიიღო დადგენილება ეგვიპტიდან ჩვენი ჯარის გამოყვანის თაობაზე, მაგრამ თქვენ... ჩვენ... ისრაელი არ ასრულებსო გაეროს დადგენილებას.

დავითი. მართალი უთქვამს ლოუსონს. ვერც გამოვიყვანო.

გოლდა. ბატონმა ლოუსონმა გადმოძცა შტატების პრეზიდენტის -- ეიზენჰაუერის წერილი.

დავითი. (ღიმილით). ეიზენჰაუერი თვალში ნაცარს ჩვენ გვაყრის, თორემ იქ... გასულ ხუთშაბათს კონგრესის ლიდერები შეკრიბა... 26 გამოჩენილი დემოკრატი, რესპუბლიკელი... ეწადა, დაეყოლიებინა ისრაელს ეგვიპტიდან ჯარის გაყვანა ვაიძულოთო... ბევრი იბრძოლა... ამოდ... არაფერი გაუვიდა კონგრესმენებმა მხარი არ დაუჭირეს.

გოლდა. პრესამ გააკრიტიკა. ნაცვლად იმისა, რომ პატარა სახელმწიფოს, ისრაელს, ვენმარებოდეთ, ხელს ვუშლითო.

-6-

დავითი. კონგრესმენები უარს ეუბნებიან, პრესა ეკამათება, ეგ მაინც თავისას გაიძახის. (პაუზა.) ახლა რაღა უნდა? რომელი რომეო ეგ არის და ჯულიეტა მე, წერილებს რომ მიგზავნის. (წერილს ცივად გადახედავს). წაიკითხე? (გოლდა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. დავითი ნალველმორეული შესცქერის წერილს, რადგან ხვდება, თუ როგორი იქნება მისი შინაარსი). ამიტომ ვამბობ, გოლდა: ჩვენი სახელმწიფოებრიობა მანამ იქნება საფრთხის ქვეშ, სანამ ამერიკას ძლიერ არ დავჭირდებით. აი, როცა ამ რეგიონში ჩვენ მისთვის ძალიან აუცილებელი გავხდებით... (პაუზა) სხვაგვარად არაბული ნავთობი წავგლეკავს... მშვიდი ძილი არც მაშინ გვექნება, მაგრამ... ჰაუ, რამხელაა... რაო, რა წერია, ჯარი გაიყვანეთო?!

გოლდა. (წერილს აუჩქარებლად აიღებს. კითხულობს). „ბატონო პრემიერ-მინისტრო, მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ღაზას სექტორიდან, სინაიდან და სუეცის ყურე დან ჯარს შეუფერხებლად გაიყვანო“. (დავითს გადახედავს).

დავითი. (ირონიით). ნელ-ნელა, აუჩქარებლად რომ გავიყვანო, არ მიიღებს?!

გოლდა. (განაგრძობს წერილის კითხვას). „თუ ისრაელის ხელისუფლება კვლავაც არაფრად ჩააგდებს გაეროს გადაწყვეტილებას, ეს უთოდ გამოიწვევს ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ გაეროს ახალ ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები კი სერიოზულ ზიანს მიაყენებს გაეროს წევრ ქვეყნებთან და მათს შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისრაელის ურთიერთობას.“

დავითი. მოიცა! (პაუზა) ბოლო ფრაზა კიდევ ერთხელ!

გოლდა. (კითხულობს). ეს ღონისძიებები სერიოზულ ზიანს მიაყენებს გაეროს წევრ ქვეყნებთან და მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ისრაელის ურთიერთობას.

დავითი. ეს რას ნიშნავს, გოლდა, რას გვეუბნება ამერიკის პრეზიდენტი?

(ღუმილი. დავითის თვალეში შეძრწუნება იკითხება). პრეზიდენტი გვემუქრება ეს სხვა არაფერია, თუ არა, შეფარული, თავაზიანი მუქარა.

გოლდა. (უილაჯოდ). კი, პრეზიდენტი გაეროს სანქციით, ბლოკადით გვემუქრება. ეს ლოუსონს თითქმის არ დაუმაღავს. ამიტომ არ არის ღღეს საჭირო ხმაური.

დავითი. ჩვენ ხომ ისედაც ვართ იზოლაციაში, ჩვენ ხომ ისედაც ბლოკადაში ვართ. არცერთ მეზობელ სახელმწიფოს ჩვენთან მშვიდობა არ სურს, არცერთმა არ დაგვი-ლო საზავო ხელშეკრულება. თორმეტი, მეცამეტე წელია ომი გვაქვს. მგლები ყოველდღე გვიღრენენ.

გოლდა. ახლა გაეროს წევრი ქვეყნებიც აგვიმხედრდებიან. არცერთი სახელმწიფო არ ივაცრებს ჩვენთან, არც აქეთ შემოვა პროლუქტი და არც ისრაელიდან შეიტანენ.

დავითი. (უხმოდ ზის, თავჩაქინდრული. დუმილი კარგა ხანს გრძელდება). ესე იგი მრავალმილიონიანი ამერიკის შეერთებული შტატები შიმშილობით ემუქრება სამმილიონიანი ისრაელს, რომელსაც ასოცი მილიონი მეზობელი ყოველდღე შეჭმას უპირებს. (დუმილი). თუ ჩვენ სუეციდან ჯარს გამოვიყვანთ, სუეცის არხს კვლავ ეგვიპტე იკავებს და არცერთ ჩვენს გემს არ გაატარებს... სახმელეთო გზა კი ჩვენ არა გვაქვს, ჩვენ ან ზღვით ვუკავშირდებით სამყაროს, ან ჰაერით... ესე იგი ეს გზაც იკეტება. თუ ჩვენ ღაზადან და სინაიდან გამოვიყვანთ ჯარს, იქ კვლავ ტერორისტები იბუდებენ, რათა ისრაელის ტერიტორიაზე შემოიპარონ და მოაწყონ ტერორისტული აქტები, დაგვიხოცონ ძმები, დები, შვილები... თუ არადა, (სიბრაზე ერევა) ბატონი ეიზენ-ჰაუერი, ყველაზე მაძლარი, ყველაზე ღონიერი სახელმწიფოს მეთაური, შიმშილით ამოგვხდის სულს. (სელექტორს ჩართავს). ფინანსთა მინისტრი ლევი ეშკოლი.

ზმა. ახლავე.

გოლდა. გავაგრძელო?

-7-

დავითი. რა აზრი აქვს, ყველაფერი გასაგებია!

ზმა. გისმენთ, მოგესალმებით!

დავითი. (სელექტორში). შალომ, ერთი ეს მითხარი... დავუშვათ... თუ ქვეყანაში არაფერი არ შემოვა... სურსათს ვგულისხმობ...

ზმა. ვერ გავიგე.

დავითი. რამდენ ხანს შეიძლება გაძლოს ჩვენმა ქვეყანამ, თუ ხვალიდან არაფერი, არა-რა სურსათი არ შემოვა... თუ, ხვალიდან ეს განათლებული, ცივილიზებული მაძლარი, მდიდარი ამერიკა ბოიკოტს გამოგვიცხადებს?

ზმა. (ინტონაცია სრულიად შეეცვლება). მოხდა რამე?

დავითი. კი. ეიზენჰაუერი ებრაელი გადამხდელების ფულით მსუყე სადილს მიირთმევს და ახლა არაბულ ნავთში ბანაობაც უნდა...

ზმა. ამერიკას ომს ვუწყებთ?

დავითი. არა. ამერიკა გვიწყებს.(ხანგრძლივი დუმილი)პასუხს რამდენ წუთში მივიღებ?

ზმა. ძალიან ძალე!

დავითი. გელოდები.

გოლდა. (კითხულობს). „ბატონო პრემიერო, ჩვენთვის ძნელი იქნება, თუ აშშ დად-გება აუცილებლობის წინაშე დაიჭიროს მტკიცე პოზიცია. გაერო კი, თავის მხრივ მიიღებს შორსმიმავალ ზომებს (გოლდა შეჩერდება, დავითს შესცქერის, დავითი მწარე ფიქრს მოუცავს.) ყველაფერი ეს კი ცხადია, გაართულებს ისრაელის ურთიერ-თობას გაეროს წევრ სახელმწიფოებთან. (გოლდა კვლავ დავითს მიაჩერდება). თუ ჩვენ დავეთანხმებით საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის შეიარაღებული აგრესიით გაფა-რთობას, ეს ნიშნავს, ისტორიის ბორბალი უკან დავაბრუნოთ. მშვიდობის შენარჩუნებისათვის გაერომ უნდა გააძლიეროს ისრაელზე ზეწოლა, უნდა აიძულოს ისრაელი დამორჩილდეს გაეროს რეზოლუციას“.

დავითი. მორჩილება... ბატონ პრეზიდენტს, ებრაელი ხალხის მორჩილება სურს, ეს ხალხი... მოსე ორმოცი წელი უდაბნოში იმიტომ დაატარებდა, რომ მისი სულის შეც-ვლა ეწადა. შეცვალა, გაანთავისუფლა, მონობა ისე ამოუძირკვა სულიდან, რომ მასვე,

მოსეს აუმხედრდნენ. განთავისუფლებულმა, თავისი თავის პატრონმა ერმა ისე იცხოვრა, მოსეც კი დაისაჯა -- ვერ დადგა ფეხი ალთქმულ მიწაზე... და ახლა ეიზენჰაუერს სურს...

გოლდა. ეიზენჰაუერი კარგად იცნობს ჩვენს მეზობლებს.

დავითი. ვიცი, ვხედავ (ერთხანს დუმს). მეზობელი ქვეყნებისათვის ჩვენ ებრაელი ერის ნავსაყუდელი კი არა ვართ, მეზობელი ქვეყნებისათვის ჩვენ ვართ ტერიტორია, რომელიც არაბულმა სამყარომ დაჰკარგა... ჩვენ ეს ერთი სამშობლო გვაქვს, ეს ერთი მტკაველი მიწა, ამათ, არაბებს კი... ნახეთ, რამდენი ტერიტორია უჭირავთ,... და მაინც ისრაელისკენ აქვთ თვალი. (სელექტორის თავზე ნათურა აციმციმდა). ჰო... რაო?

ზმა. თუ დღეიდან სახელმწიფოში არ შემოვა სურსათი და ნავთობი, ხუთი თვის შემდეგ...

დავითი. (გახარებული). ხუთი თვე?! ჩვენ ხუთი თვე შეგვიძლია?!

ზმა. კი. ხუთი თვე გავძლებთ.

დავითი. (სიხარულით). მაცადის დამცველებს რომ ხუთი დღე ჰქონოდათ...ვინ იცის, რა დღეს დააყრიდნენ რომაელთ... ხუთი თვე მთელი საუკუნეა. (სელექტორს გამოთიშავს). იმათთვის ჩვენ ებრაელთა სამშობლო კი არა, ტერიტორია ვართ და დაუმორჩილებელი, სამართლიანი სახელმწიფო უნდა გავხდეთ. (ჩაფიქრდება). ბატონ პრეზიდენტს პასუხი უნდა ვაახლოთ.

გოლდა. (ფრთხილად). დღეს არ არის აუცილებელი. შეიძლება ხვალ, ზეგაც...

-8-

დავითი. ხუთი თვე მთელი საუკუნეა! თუ ხალხი მოინდომებს, თუ ხალხს ძალიან უნდა!.. მაშ, ასე: დავიწყოთ! (მოისმის რემინგტონზე კაკუნი -- ვილაცას დავითის სიტყვები ქალაღზე გადააქვს). „ბატონო პრეზიდენტო, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს დეკლარაციამ ეს უფლება მოგვანიჭა, ჩვენ ვერ ვცხოვრობთ უსაფრთხოდ. ნუთუ ჩვენ, ისევე როგორც სხვა ერებს, არა გვაქვს უფლება ვცხოვრობდეთ მშვიდობიან პირობებში? ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ, მოწიწებით გკითხოთ: არც თქვენ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, არც იმ სახელმწიფო-თა მეთაურებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენას, დღემდე რატომ არაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ისრაელის მოსახლეობას არ ჰქონდეს თავდასხმების ყოველდღიური შიში? განა, ასე აუცილებელია ჩვენ გვემინოდეს გაეროს წევრი ქვეყნის -- ეგვიპტის მიერ გამოგზავნილი ტერორისტების? მითხარით, ბატონო პრეზიდენტო, ისრაელის გემებს რატომ არა აქვთ საერთაშორისო წყლებში ცურვის უფლება, ისე როგორც ცურავენ სხვა სახელმწიფოთა გემები?“ (პაუზა. გოლდას). ჰა, მითხარი რამე?

გოლდა. საჭიროა ისეთი ტექსტი, რომელიც პრეზიდენტს არ გააღიზიანებს.

დავითი. (ერთხანს დაჟინებით შესცქერის მინისტრს). გოლდა, დიდი ხანია სამშობლოში ჩამოხვედი. დროა ჩამოიშორო დიასპორის ებრაელის მორჩილება.

გოლდა. კი, ბატონო, მაგრამ ნუთუ, ასე აუცილებელია პრეზიდენტის გაღიზიანება? ამერიკაა, მსოფლიოს მბრძანებელი.

დავითი. ჩვენ კი ისრაელის სახელმწიფო ვართ, ჩვენს წიაღში იშვა ის, რასაც ვერა-რა მბრძანებელი ვერ აუქცევს გვერდს და ყოველი მბრძანებელი ემორჩილება.

გოლდა. თუნდაც გათამაშებული თავმდაბლობა.

დავითი. არა, გოლდა. ჩვენ რომ დავმორჩილებოდით, ან ბერძნები შეგვკვამდნენ, ან რომაელები მოგვხრაკავდნენ, ან კიდევ ოსმალები...

გოლდა. (აწყვეტინებს). იქნებ, წერილი ხვალ დავწეროთ?

დავითი. გავაგრძელოთ! (კვლავ გვესმის რემენგტონის ხმა). „თქვენ მიგვანიშნებთ, თუ გაეროს რეზოლუციას არ შეასრულებთ, შესაძლოა, ისრაელის წინააღმდეგ ზომებს მიმართოსო... თქვენ არაფრით არ დაგისჯიათ, არც კი გაგიფრთხილებიათ, ეგვიპტე ის ქვეყანა, რომელიც წლების განმავლობაში არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას და გაეროს დეკლარაციის ზოგიერთ პუნქტს.“

გოლდა. რაიმე საამო, სასიამოვნო სიტყვა.

დავითი. (გოლდას). გული მოგულობოთ?

გოლდა. დელიკატური, თბილი სიტყვები.

დავითი. შენ არასოდეს არ იყავი ასეთი ფრთხილი, გოლდა. მუდამ გაბედულად იქცეოდი. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში ამანშიც კი წახვედი იორდანის მუფე აბდალასთან შესახვედრად.

გოლდა. ჩვენ მაშინ სახელმწიფოს ვქმნიდით. დღეს კი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

დავითი. ეს საკითხი კიდევ დიდხანს არ მოგვასვენებს, ხშირად ვიქნებით ყოფნა-არყოფნის წინაშე... ასეთ სამეზობლოში გვიხდება ცხოვრება. ვგონებ ორმოცდარვა წლის თორმეტი მაისი იყო.

გოლდა. ცამეტი, ცამეტი მაისი! მე აღრეც ჩავედი მასთან, არ გახსოვს? ოქტომბერსა, თუ ნოემბერში.

დაბნელება

-9-

2.

იორდანის მუფე აბდალას სამუშაო ოთახი. აბდალა აკვარიუმთან დგას. საშუალო სიმაღლის კაცია, ბლანჟე წვერით, ევროპელს უფრო ჰგავს, ვიდრე აზიის მზის ქვეშ აღზრდილს.

აბდალა. როგორა ხართ, თევზებო? რა უაზროდ დაცურავთ აღმა-დაღმა, არა-რა საფიქრალი თქვენ არ გაქვთ, არც რამ დარდი გალელვებთ. რა ბედნიერნი ხართ, იერუსალიმის მუფტისთან – ჰაჯი ამინ ალ ჰუსეინთან რომ არა-რა საქმე არა გაქვთ. არც კი იცით რა საძაგლობებს სჩადის ძალაუფლების გასაძლიერებლად. (თევზებს საკვებს უყრის). აჰა, დღეს ბენ გურიონი უგუნებოდ ბრძანდება. რატომ არაფერს მიირთმევთ, ბატონო ბენ გურიონ! აჰ, ეგ რა არი, თქვენ მუსლიმთა მიწები გნებავთ. ოჰ-ოჰ-ოჰ! ჰაჯი ამინ ალ ჰუსეინი რა გაშმაგებული ჭამს!.. ეგ ყველაფერს ჭამს... თუ ალაჰმაც ხელი შეუწყო, ყველას შეგვკვამს... ყველას, მაგრამ ალაჰი ასეთ ადამიანებს არ ეწევა, ალაჰი ჩვენსკენაა. (წელში გასწორდება, მხედრულად). მოგესალმებით, ბატონო სტალინ!.. მოგესალმებით... მომწონს, მომწონს... თქვენ ჭამისთვის არ გცალიათ, თქვენ იმაზე ფიქრობთ, ჩერჩილი როგორ გააძევოთ ახლო აღმოსავლეთიდან... მე მესმის თქვენი, კარგად მესმის, მაგრამ მაინც არ გვინდა გაიმარჯვოთ... ალაჰი დაგვინდობს, ალაჰი არ იზამს იმას, რომ სტალინმა აქ ფეხი დადგას! თქვენ აქ რა გინდათ, ბატონო სტალინ! ჩერჩილი გუნებაზე ვერ არის... რა ყვითელი ღიპი აქვს... ჩერჩილის

ყვითელი ღიპი! არა, ეგ რა შუაშია! -- ებრაელები და დემოკრატია აღმოსავლეთიდან აძეგებენ. იცის, კარგად იცის ჩერჩილმა -- ამ საქმეში სტალინის ხელიც ურევია, მაგრამ... სალამი, სალამი, ქალბატონო გოლდა, თქვენ ხომ ახლა ჩემს კართან დგებართ, ჩემთან შეხვედრას ელოდებით. უკმაყოფილება უნდა გამოთქვით? მერე რა მოხდა, მე აზრს მაინც არ შევიცვლი... არც სიმაართლეს გეტყვი, რა აზრი აქვს სიმაართლის თქმას, რა შეიცვლება! ჰა, რას იტყვით, ჩემო ლურჯთვალება, წითელ-მუცელა, თვალედაჭყეტილო თევზებო? (ტაშს შემოჰკრავს). შემოიყვანეთ ძვირფასი სტუმარი -- იუდეველთა ასული! (შემოდის გოლდა. არაბი ქალის სამოსი აცვია. სახეს ჩადრი უფარავს). აი, ეს მომხიბვლელი არაბი ქალი ჩვენთან მოსვლა რომ ინება, მუსლიმი კი არა, იუდეველია, ჩემო მშვენიერო თევზებო, მიესალმეთ მას!

გოლდა. (მეფე აბდალასადმი პატივისცემის ნიშნად თავს ოდნავ დახრის). მოგესალმებით, არაბთა ნათება და გადმოგცემთ ჩემი ხალხის დიდ მოკითხვას.

აბდალა. არაბთა ნათება! (იმეორებს). მოგესალმებით, არაბთა ნათება! რა კარგად ჟღერს! კარგია, რომ ასე იყოს... თქვენს შორის მართლა ასე ვგრძნობ თავს. ხომ იცით, თქვენს ერს პატივს ვცემ, გონიერი ხალხი ხართ.

გოლდა. გონიერება არც არაბთათვის დაუკლია ღმერთს!

აბდალა. მაშ, რატომ ხდება ეგრე, არაბებს რატომ არ გვიყვარს მანათობელნი და მდაბიოთ უფრო ვადიდებთ.

გოლდა. ვგონებ, არც სხვები უნდა შესცინოდნენ თავთავიანთ ვარსკვლავთ. აქ ყველა ერთნაირია, მეფეც, მუსლიმი იქნება, იუდეველი, თუ ქრისტეს მიმდევარი.

აბდალა. მობრძანდით, დაბრძანდით! მე თქვენი მობრძანება საბაოთთა დედოფლის იერუსალიმში სოლომონთან სტუმრობად მიჩანს.

გოლდა. ეეჰ, ის დედოფალი იყო და უზრუნველი ყოფა ჰქონდა. იერუსალიმს ბრძენ მეფესთან, უამრავი საჩუქრით ჩამოვიდა, დიდებულნი მოაცილებდნენ, სიყვარული და სიბრძნის დაუფლება ეწადა, მე კი ათასი ფათერაკი მიღობავდა გზას, საჩუქრად ჩემი ხალხის კეთილი სურვილები ჩამოგიტანეთ, თქვენთან მშვიდობისათვის მოვსულვარ, იმ განძისა, რომელიც დედოფალს საძებნელი არ ჰქონდა!

აბდალა. კეთილი სურვილები... გულწრფელად მოძღვნილი კეთილი სურვილები დიდი

-10-

საჩუქარია, ძალიან დიდი! ინგლისელები გაბრკოლებდნენ?

გოლდა. გააფთრებულნი არიან. ის ახელებთ, ისრაელს რომ სტოვებენ.

აბდალა. ალბათ, პალესტინაზე ლაპარაკობთ.

გოლდა. არა, ისრაელზე. ეს ებრაელთა მიწაა და ისე უნდა იწოდებოდეს, როგორც მკვიდრი ხალხი ეძახდა. ჩვენს სამშობლოს პალესტინა რომაელმა დამპყრობლებმა უწოდეს, ამით ეწადათ ამ მიწაზე ჩვენი სახსენებელი მოესპოთ.

აბდალა. (ამ თემაზე საუბარი არ სურს). მაშ, ინგლისელებმა გაგაწვალეს?

გოლდა. ყოველ გამვლელს აჩერებენ, ჩხრეკენ, საბუთებს სთხოვენ. მე რომ არაბი ასული არ მეთამაშნა, თქვენამდე ვერ მოვალწევდი.

აბდალა. (ხაზგასმულად, მრავალმნიშვნელოვნად). ასეთი რისკი რისთვის გას-წიეთ, თავს უნდა გაუფრთხილდეთ -- ინგლისელები სასტიკად იქცევიან.

გოლდა. (ნათქვამი გაიზრა. პაუზის შემდეგ). თქვენ გგონიათ, ამაოდ გავისარ-ჯე? თქვენ ფიქრობთ, რომ შეშფოთება უმიზეზოა? (პაუზა). იქნებ, უკვე გვიანია?! ერაცის არმიამ მთელი თქვენი სახელმწიფო გადმოიარა და ისრაელის საზღვართან

იყრის თავს.

აბდალა. პალესტინის.

გოლდა. ერაყის არმია ებრაელთა ხვალინდელი სახელმწიფოს საზღვარს მოადგა, ინგლისელები გამვლელებს ამჩნევენ, ერაყის არმიას -- ვერა.

აბდალა. დიახ, ასეა!

გოლდა. ხვალინდელი ისრაელის სახელმწიფოს მეთაურებმა დამავალეს მოვიდე და შეგახსენოთ შეთანხმება, რომელსაც შემოდგომაზე მივალწიეთ.

აბდალა. (თავს უკრავს). ინგლისელები ცუდად იქცევიან, ძალიან ცუდად!

გოლდა. იორდანია?

აბდალა. ინგლისელები, ინგლისელები!..

გოლდა. ერაყის არმია თქვენი სახელმწიფოს გავლით ჩვენს საზღვრებს მოადგა.

აბდალა. თქვენ იცით, რომ მე პატივს ვცემ ებრაელობას.

გოლდა. გამონაკლისი როდი ხართ, მეფე!

აბდალა. მაგრამ... (დუმილი)

გოლდა. (ბრაზნარევი ინტონაციით). ჩვენ შევთანხმდით, რომ ხელს არ შეუშლიდით პალესტინის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს -- ისრაელისა და პალესტინის სახელმწიფოების ჩამოყალიბებას.

აბდალა. ნუ... უნდა გითხრათ, რომ... თითქმის...

გოლდა. ინგლისის მანდატის ვადა იწურება, ისინი სტოვებენ ჩვენს ქვეყანას. ზეგ ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას. ზეგ გაჩნდება ისრაელის სახელმწიფო.

აბდალა. არა, არა! ნუ ჩქარობთ!

გოლდა. (აბდალას დაბეჯითებით შესცქერის, თითქმის დამარცვლით ხაზგასმულად, იქნებ, ცოტა სარკასტულადაც) მეფეო, არაბთა მანათობელო ვარსკვლავო, სულ რაღაც ექვსი-შვიდი თვის წინათ ჩვენ ამ დარბაზში ვისხედით. თქვენ ებრაელ ხალხს აღუთქვით, თუ დამოუკიდებლობას გამოაცხადებთ, ხელს არ შეგიშლით და კეთილი მეზობლები ვიქნებითო. კიდევ ერთხელ გიკრავთ თავს და გთხოვთ მომცეთ ერთი შეკითხვის უფლება.

აბდალა. (პაუზის შემდეგ). მკითხეთ.

გოლდა. ის, რაც ახლა, ამ წუთში თქვენს წინ სავარძელში მჯდარმა ებრაელმა ქალმა თქვა, ტყუილია? თქვენ ჩემი ხალხისთვის ასეთი პირობა არ მიგიციათ?

აბდალა. (პასუხის გაცემა უჭირს). იმის გამო, რომ ებრაელ ხალხს პატივს ვცემ...

გოლდა. დიახ, გისმენთ, თქვენს მეფურ სიტყვას ველოდებით.

აბდალა. თქვენ მართალს ამბობთ, მე დაგპირდით.

-11-

გოლდა. მაშ, რაღა იქნა, თქვენი მეფური სიტყვა, სად გაქრა? იქნებ, მეფეც მისდევს ყურანის იმ მცნებას, რომელიც ჩაგვძახის ქალისადმი მიცემული სიტყვა, სიტყვა არ, არის, რადგან ქალი არ არისო ადამია... (აბდალა უკმაყოფილოდ წამოდგება. გოლდაც წამოდგება). მეფეო, ჩვენ ორი ათასი წელი... ორი ათასი წელი ველოდით ამ დღეს, ორი ათასი წელი ვლოცულობდით, ვოცნებობდით სახელმწიფოს აღდგენაზე და დღეს, როცა ამ სანუკვარ ჟამს წლები, თვეები, დღეები კი არ გვაშორებს, არამედ საათები -- მზის ერთი, სულ ერთი ჩასვლა და ერთი ამოსვლა, თქვენი განდ-გომით ვერაფერს ვერ შეცვლით, ვერაფერს!

აბდალა. ახლა მე მისმინე, იუდეველთა ფიცხო ასულო! თქვენ უღვთო ამერიკელებმა, სასტიკმა სტალინმა, ნიფხავჩავარდნილმა ფრანგებმა და ფერდაკარგულმა ინგლისელებმა მოგცეს დამოუკიდებლად ცხოვრების პირობა. ქვეყნიერების ეს ნაწილი კი ჩვენ გვეკუთვნის -- მუსლიმებს. იმათ, ევროპელებს ამ მხარეში არაფერი ეკითხებათ. მის უდიდებულესობას მეფე აბდალას კარგად მომეხსენება: ადრე თქვენ იყავით, ეს მიწა თქვენ გეკუთვნოდათ, მაგრამ წახვედით... ახლა ჩვენია, ჩვენ ვართ ბატონ-პატრონი და მთავარი ჩვენი...

გოლდა. (აწყვეტინებს). თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ აგვყარეს, გაგვრეკეს, მიმოგვფანტეს, ახლა ვპოვეთ ძალა და დავბრუნდით.

აბდალა. (უკმაყოფილო იმით რომ შეაწყვეტინეს). ალაჰია მოწმე გულით გიჭე-რდით მხარს, რადგან ვიცი, რა სასწაულებს მოახდენთ ამ მიწაზე, როგორ გაამშვენნიერებთ, აყვავებთ, მაგრამ მუსლიმურ სახელმწიფოთა შორის თქვენი ვერცერ-თი მხარდამჭერი ვერ ვპოვე. მე კი... მე მუსლიმი ვარ და არა იუდეველი, მე არ მსურს მუსლიმთა შორის მტრები გავიჩინო. თქვენ ვალდებული ხართ გამიგოთ.

გოლდა. მაგრამ ჩვენ ხომ არაფერს არ გთხოვთ – ომი არ გამოგვიცხადოთ, არ ჩაებათ ჩვენს წინააღმდეგ ომში, არ დაიწყოთ სისხლისღვრა!

აბდალა. სხვები? სხვებსაც ასევე გააჩერებთ? ომს ხომ მე არ ვიწყებ, მე სხვებთან ერთად ვარ, სხვებს ვუერთდები: ეგვიპტეს, სირიას, ერაყს, საუდის...

გოლდა. ყველას გაუხსნორდებით, ყველას დავამარცხებთ!

აბდალა. (მცირე პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც გოლდას დაბეჯითებით შესცქერის). ყველას გაუხსნორდებით? დავამარცხებთ? (პაუზა). ომს ეგვიპ-ტის დიდი არმია იწყებს.

გოლდა. დავამარცხებთ, დავძლევთ!

აბდალა. (იციხის). რა ყოჩალი ქალი ხართ, გოლდა! მომწონს, ძლიერ მომწონს თქვენი თავდაჯერებულობა. ამის სათავე ალბათ, ის არის, რომ არ იცნობთ სი-რიის...

გოლდა. (აწყვეტინებს). მისგან აღარაფერი დარჩება.

აბდალა. (ჩაფიქრდება). კი, მაგრამ როგორ, რანაირად... თქვენ ხომ...

გოლდა. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზე გვსურს ცხოვრება და ისე ვიბრ-ძოლებთ, როგორც არასოდეს არავის უბრძოლია, ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, სამშობლო სისხლით უნდა მოვიპოვოთ.

აბდალა. (ჯერ ღიმილი მოერევა, გაიცინებს კიდევ, მერე მოლუშული). თავად გინახავთ ერაყის არმიას რა შეიარაღება მოაქვს თქვენკენ. სამხრეთიდან ეგვიპტე წამოვა, ჩრდილოეთით სირია, აქედან ერაყი და... (პაუზა. ერთ წერტილს შესცქე-რის).

გოლდა. მეფეო! (პაუზა. ვერ გადაუწყვეტია თქვას თუ არა). აქედან თქვენ და ერაყი! მეფეო, თქვენც დავამარცხებთ. სამ-ოთხ დღეში ჩვენი ბიჭები აქ იქნებიან, ამ ქალაქში, ამ სასახლეში შემოვლენ. თქვენ მომძებნით მე, რომ შევაჩეროთ ჩვენი არმია, მაგრამ ვერ მიპოვით. კარგად ბრძანდებოდეთ! (წამოდგება, მიდის. მობრუნდე—

ბა. ირონით). უკაცრავად ვარ – თქვენი მეფური უდიდებულესობისათვის თავი არ დამიკრავს. (აბდალას თავს დაუკრავს).

აბდალა. თუ მეფეს არ უთქვამს მიბრძანდითო, ამ დარბაზიდან გასული ადამიანი გაპარულად, ან გაქცეულად ითვლება და მას უკან დააბრუნებენ. (გოლდა ხელს ჩაიქნევს და მიდის. ერთხანს ღუმილია გამეფებული). მაშ, ომი... (წამოდგება. აქვარ-იუმითან მიდის). აი, ხომ ხედავთ, ჩემო ლურჯფარფლება, წითელმუცელა თევზებო, ხომ დაინახეთ, რა განსხვავებაა ჩვენსა და იმათ შორის: პალესტინაში გაზრდილი

იუდეველი ქალი ეგრე არ იქცევა, რაც არ უნდა თამამი იყოს, ეგრე არ მოიქცევა... გოლდა ამერიკაა... ამერიკიდან ჩამოსული! მაგათთვის მეფე ის უვარგისი კბილია, რომლის ამოღება და გადაგდება დაავიწყდათ -- კარგა ხნის წინათ ამოსაღები კბი-ლი. ვიცი, განა, არ ვიცი: ეგენი რომ თავიანთ მიწას უბრუნდებიან, მაგრამ... მაშინ მე უნდა ვებრძოლო საულის არაბეთს, ეგვიპტეს, სირიას... იჰ... იჰ... იჰ! (დარბაზში გოლდა შემოვარდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემოაგდეს. ერთხანს უხმოდ შესც-ქერის ბრაზმორეულ გოლდას). თქვენ გულახდილობას ვერ აფასებთ -- მე ხომ შემე-ძლო მეთქვა, კვლავ თქვენს გვერდით ვარ-მეთქი, ხვალ-ხევ კი ქვემეხები დამეშინა. ეგ გერჩიათ?

გოლდა. ჯარისკაცებს უბრძანეთ პატივით გამაცილონ.

აბდალა. დაბრძანდი, გოლდა, სასაუბრო გვაქვს.

გოლდა. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით ვსაუბრობდით იორდანის მონარქთან, დღეს, სამწუხაროდ, სხვა მოკავშირე უნდა ვეძებოთ.

აბდალა. (ნიკაპს იქექავს). იერუსალიმის მუფტისთან ჰაჯი ამინ ალ-ჰუსეინთან მიგეჩქარებათ?

გოლდა. თქვენ სხვა გზა არ დაგვიტოვეთ.

აბდალა. იმ ჰაჯი ამინ ალ-ჰუსეინთან, რომელიც ეშმაკის მოციქულს -- ჰიტლერს დაუდგა გვერდით.

გოლდა. გუშინ ჰიტლერს ეწადა ჩვენი მოსპობა, დღეს თქვენ გწადიათ. თქვენც იმას მიიღებთ, რაც ჰიტლერმა მიიღო.

აბდალა. გოლდა, გოლდა!

გოლდა. თქვენ მეგობრად მიგიჩნევდით, ჰაჯი ამინ ალ-ჰუსეინს კი -- მტრად, დღეს, როცა თქვენ მტრად გვექცით, თქვენი მტერი -- იერუსალიმის მუფტი -- ჩვენი დროებითი მეგობარია.

აბდალა. დროებითი? მანამ სანამ იერუსალიმს სახელს არ შეუცვლის და ისევ ალ-ყუდს აშ-შარიფს არ დაარქმევს?

გოლდა. მანამ სანამ ჩვენს რაზმს ამ დარბაზში არ შემოუძღვება. ჩვენ ხომ ვიცი, რომ იგი ამ სიამოვნებას არავის დაუთმობს.

პაუზა

აბდალა. (გოლდას სავარძლისკენ მიათითებს). დაბრძანდით! ქვეყნიერების ამ ნაწილის ბედს მხოლოდ იორდანია არ წყვეტს. მე უკვე გითხარით: ეს კუთხე არაბებისაა, ყველაფრით ჩვენია: მწველი მზით, უდაბნოს ქვიშით, ხამსინის ქარებით, ლეგენდებით, ფანატიზმით, მონობითა, თუ ბატონობით -- ყველაფრით და აქ, ამ კუთხეში, არავის არ სურს ებრაული სახელმწიფო, არცერთ არაბს. როგორც კი სახელმწიფოს გამოაც-ხადებთ, ხუთი ქვეყნის არმია ხუთივე კუთხიდან შემოგიტევთ და ერთი არაბიც კი, არცერთი არაბი არ ინატრებს თქვენს გადარჩენას, არცერთი არაბი -- არც მიწის მხვნიელი, არც ვაჭარი და არც -- ოფიცერი.

გოლდა. თქვენ? თქვენ ხომ ინგლისში განათლებული, ასეთი...

აბდალა. მე ხომ მაგათი შვილი ვარ, მაგათი მამა, ძმა, მეგობარი. არა-რა მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას ვფიქრობ მე, მთავარია როგორ მოვიქცევი, რას გამაკეთებინებენ მეზობლები..

გოლდა. ამით ხომ იერუსალიმის მუფტის ოცნების ასრულების საშუალებას აძლევთ!

აბდალა. (დაწყებულ საუბარს ღიმილით განაგრძობს). მაგრამ ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული. თუ თქვენ ძლიერ გსურთ, კიდევ შეიძლება, საქმის წაღმა დატ-რიალება.

გოლდა. (სავარძელს უბრუნდება). გისმენთ.

აბდალა. მე მაქვს გეგმა.

გოლდა. (თბილად). გისმენთ!

აბდალა. აჩქარება არ არის საჭირო, ნუ ვიჩქარებთ... ვის უნდა ორი ახალი სახელმწიფო არაბულ სამყაროში... და ერთი მათგანი ებრაული...

გოლდა. ეგ ხომ მითხარით!

აბდალა. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე. არ ავჩქარდეთ. ხვალ ან ზეგ, ინგლისელთა გასვლისთანავე, პალესტინას იორდანის შემადგენელ ნაწილად გამოვაცხადებ. ამით ომს თავიდან ავიცილებთ.

გოლდა. ომის არ გვეშინია. ჩვენთვის მთავარი ებრაული სახელმწიფოს არსებობაა და არა ომი!

აბდალა. აჰ, აჰ, აჰ... ეგ არ იქნება!.. ებრაული სახელმწიფო! ხვალ, ან ზეგ მე გამოვაცხადებ, რომ პალესტინა იორდანის კუთვნილი ტერიტორიაა, ერთ კვირაში თქვენ, ებრაელებმა, გამოაცხადეთ ებრაული ავტონომია იორდანის შემადგენლო-ბაში...

გოლდა. ვერაფერი გავიგე!

აბდალა. პალესტინას შევეყვან იორდანის შემადგენლობაში... ამას მე ვაცხადებ. შესაძლოა, ორიოდე რაიონი მივცე ეგვიპტეს, ეგ არაფერია, სამაგიეროდ, ჩუმად იქნება, ორიოდ რაიონს სირიასაც მივცემ. ასე რომ პალესტინა იორდანის შემადგენელი ნაწილია, თქვენ აცხადებთ ებრაელთა ავტონომიას იორდანის შემადგენლო-ბაში... ებრაელთა ავტონომია იორდანიაში!.. შემდეგ თქვენ შექმნით პარლამენტს, დეპუტატთა ერთი ნახევარი იქნება იუდეველი, მეორე ნახევარი -- არაბი.

გოლდა. (ერთხანს ელოდება კიდევ რას იტყვის მეფე აბდალა. მეფე კი ღუმს). მე ვთქვი, რომ ჩემი ხალხი 20 საუკუნეა ელოდება თავისი სამშობლოს აღდგენას. მომიტევეთ, შემინდეთ, იქნებ, ეს ჩემი მესხიერების გამო იყოს -- არ მაგონდება, ოდესმე ასეთი ოცნება ჰქონოდა: ავტონომია იორდანის სახელმწიფოში! არა, ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ინგლისი თავის კიდევ ერთ კოლონიას თმობს და ეს იმისთვის არ გაგვიკეთება, რომ თქვენი ავტონომია გავხდეთ. როგორც კი დიდი ბრიტანეთის დროშა დაეშვება, ჩვენ ისრაელის დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაცხადებთ და თუ თქვენ ომს დაგვიწყებთ...

აბდალა. ხუთი სახელმწიფო, თქვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ხუთი სახელმწიფოს არმია ემზადება.

გოლდა. ხუთივეს დავამარცხებთ. ჩვენს ბიჭებს კი ამ სასახლეში იერუსალიმის მუფტი შემოუძღვება. ამ სიამოვნებას იგი არავის დაუთმობს. მდაბლად გიკრავთ თავს. (თავს დაუკრავს). იქნებ, უბრძანოთ!

აბდალა. (ერთხანს ფიქრობს, ტაშს შემოკრავს). გააცილეთ!

გოლდა მეფეს კიდევ ერთხელ უკრავს თავს და გადის.

აბდალა აქვარიუმს შესცქერის.

ახლა მთავარი ის არის, რომ ომი იქნება, დიდი ომი! ეგენი ხუთი სახელმწიფოს ჯარს გაუძლებენ?

დაბნელება.

**კვლავ ისრაელის პრემიერ-მინისტრის -- დავით ბენ-გურიონის კაბინეტი.
დავითი სცენის იმ კუთხეს შესცქერის, რომელშიც მეფე
აბდალასა და გოლდას სცენა თამაშდებოდა.**

დავითი. გავუძელით მეფეო, როგორც ხედავ, გავუძელით და კბილებიც ჩაგიმტვ-რიეთ!
ახლა კი ჩვენს ფაშისტს მივხედოთ!

გოლდა. (შემოდის). არა, არა! დღეს არ გვინდა, ნუ ვიჩქარებთ. ხომ ხედავთ, როგორი
დაძაბული სიტუაციაა. სიფრთხილე გვმართებს. ვიმუშავეთ ამერიკელ კონგრესმენე-
ბთან, ებრაულ ორგანიზაციებსაც ჩავრთავთ და ვნახოთ... დღეს არა, არ იქნება...

დავითი. (ერთხანს დაბეჯითებით შესცქერის გოლდას. თავს უკმაყოფილოდ გააქნევს და
სელექტორს ჩართავს.). შეწყვიტეთ ყველა გადაცემა. მთავრობის მეთაური საგან-გებო
და მნიშვნელოვან განცხადებას აკეთებს. (სელექტორს გამორთავს).

გოლდა. (შეშფოთებული). იქნებ, ჯერ ტექსტი დაგვეწერა. ნუ ვიჩქარებთ, ტექსტი
გავამზადოთ.

დავითი უხმოდ, საყვედურით შესცქერის გოლდას.

დიქტორის ხმა. ბატონო პრემიერო, მზად ხართ?

გოლდა. ექვსი მილიონი არ დაივიწყოთ... უსათუოდ... მკვლევები იყვნენ... მკვლევები!
აუცილებელია. გთხოვთ.

დიქტორის ხმა. მოისმინეთ ისრაელის პრემიერ-მინისტრის დავით ბენ-გურიონის
საგანგებო, მნიშვნელოვანი განცხადება.

დავითი. (მშვიდი, აუღელვებელი ინტონაციით). მე მივმართავ ისრაელის მოსახლეობას:
მეგობრებო, ბატონებო, ამხანაგებო! მე მინდა გითხრათ სამი რამ. პირველი: სახელმ-
წიფოებრიობის აღდგენის დღეს ისრაელმა თავს იღო პასუხისმგებლობა ზრუნავდეს
ყოველ ებრაელზე, ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც არ უნდა იყო იგი. ყოველ ებრა-
ელს უნდა სჯეროდეს, რომ ისრაელი ზრუნავს მასზე. მეორე: ფაშიზმმა კაცობრიობას
უდიდესი ზარალი მიაყენა. სიცოცხლე, მომავალი წაართვა მილიონობით ადამიანს.
ფაშიზმი ცდილობდა მოესპო ებრაელი ერი. მან შეიმუშავა ებრაელობის განადგურე-ბის
გეგმა.

გოლდა. (ჩურჩულით კარნახობს). ექვსი მილიონი, ფაშიზმმა ექვსი მილიონი ებრაელი
დახოცა.

დავითი. დღეს მთელი კაცობრიობა ფაშისტ დამნაშავეებს დაედებს. დავებდით ჩვენც.
მესამე: მოსადის დახმარებით, ჩვენ ვიპოვეთ ერთი მათგანი -- გესტაპოს მეოთხე გან-
ყოფილების ხელმძღვანელი ადოლფ ეიხმანი -- ებრაელთა მოსპობის არქიტექტორი. მე
მინდა გაუწყოთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა ადოლფ ეიხმანი არალეგალურად ჩამოიყვანეს
ისრაელში. აქ მას თქვენ, ებრაელი ხალხი, გაასამართლებთ. შალომ!

დიქტორი. თქვენ მოისმინეთ ისრაელის პრემიერ-მინისტრის დავით ბენ-გურიონის
საგანგებო განცხადება, რომელსაც ათ წუთში გავიმეორებთ.

გოლდა. როგორც ჩანს, ჩემი შინ წასვლის დრო დადგა.

დავითი. (საათს დახედავს). რა დროს შინ წასვლაა ჯერ ცხრა საათიც არ არის.

გოლდა. მე მაგ წასვლაზე არ ვლაპარაკობ. ჩემი არცერთი მოსაზრება არ გაიზი-არეთ.
ჩემი აზრი არ გაინტერესებთ.

დავითი. წადი, დაისვენე, დილას შევხვდებით!

გოლდა. დღეს თქვენ არავისი გჯერათ, გარდა შიმონ პერესისა, ხოლო მოშე დაიანზე და არიელ შარონზე უკეთესი გენერალი ჯერ ისრაელს არ ჰყოლიაო. ამიტომაც არ გესმით ჩემი და გესმით იმათი.

დავითი. დამშვიდდი, გოლდა, ნუ ცხარობ!

გოლდა. შინ, სახლისაკენ!

დავითი. შენ პარტიას სჭირდები, ქვეყანას სჭირდები.

გოლდა. მე უმაქნისი მინისტრი ვარ, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც არაფერი, ეკითხება. დავიწყოთ ჩვენი მთავარი პარტნიორით – საფრანგეთით. მე არ ვიცი რა მდგომარეობაა დღეს ისრაელ-საფრანგეთის ურთიერთობაში. იქ მხოლოდ თავდაცვის მინისტრის მოადგილე შიმონ პერესი დადის, ყველაფერი იმან იცის.

დავითი. (გულწრფელად გაოცებული). შენ რა გესაქმება, გოლდა. არაფერში არ ჩაერიო, არც რამე იკითხო.

გოლდა. არც ის ვიცი, როგორი ურთიერთობა გვაქვს ინგლისთან. თუშეცა...

დავითი. სს... ეგ შენი საქმე არ არის, ინგლისს თავი ანებე!

გოლდა. ამერიკა?! ამერიკაში მარტო წახვედით და ისიც კი არ ვიცი, თუ რა ხელშეკრულებებს მოაწერეთ ხელი.

დავითი. არ გინდა, ნუ მეკითხები, შენ შენს საქმეს მიხედე!

გოლდა. გერმანიას დავუახლოვდით. ადენაუერს ისრაელთან მეგობრობა სურსო..

დავითი. როცა საჭირო იქნება, ყველაფერს გაიგებ.

გოლდა. მეც მაშინ მოვბრუნდები, როცა თქვენ საგარეო საქმეთა მინისტრი, მართლაც, დაგჭირდებათ. მანამდე კი კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).

დავითი. კენიასთან ხომ შენ გააფორმე ხელშეკრულება?

გოლდა. რასაკვირველია. პერესი საფრანგეთში იყო, შარონი -- გერმანიაში, მოშე დაიანი-- ამერიკაში. მე კენიაში გამგზავნეთ. იქიდან წავედი სახელმწიფოში, რომლის სახელი ვერ დავიმახსოვრე. ძალიან დიდი დღესასწაული ჰქონდათ: ელნათურის პირველი ანთების ხუთი წლისთავი.

დავითი. ნეტავ, იქაც სხვა გაგვეშვა!

გოლდა. ეგ რატომ?

დავითი. ხელშეკრულება არასწორად არის გაფორმებული. სერიოზული შეცდომებია. ისეთი პუნქტები შეგიტანია, რომელიც მძიმე მდგომარეობაში გვაგდებს.

გოლდა. არაფერი მესმის, რა პუნქტები, სამხედრო ექსპერტები?!

დავითი. ორი ისეთი იარაღის მიყიდვაზე მოგიწერია ხელი, რომელსაც საერთოდ არ ვამზადებთ. ახლა ან ხელშეკრულება უნდა დავარღვიოთ და დიდი ჯარიმა გადავიხადოთ, ან...

გოლდა. (სკამზე უღონოდ დაეშვება). ან რა?

დავითი. იარაღი სხვაგან უნდა ვიყიდოთ და მაგათ მივცეთ.

გოლდა. (დუმილი. გამოსავალი მონახა). პერუსთან?

დავითი. პერუსთან რა?

გოლდა. პერუსთან და არგენტინასთან ხომ მე გააფორმე ხელშეკრულება.

დავითი. ჰო? ეგ არ ვიცოდი. მაინც ის სჯობია, ეგ საქმე შიმონ პერესს მივანდოთ. შენ კი ზარალს ხელფასიდან დაგიკავებთ.

შემოიჭრება ხმაური, შეძახილები.

დავითი. რა ამბავია?

გოლდა. (ფანჯარასთან მიდის). ისე ყვირიან, არაფერი ისმის. სიტყვებს ვერ ვარჩევ.

დავითი. (სელექტორს ჩართავს). რა ხდება, კანცელარიასთან რა ყვირილია!

ხმა. ადოლფ ეინმანის მოტაცების ამბავი მთელ ქალაქს მოედო, გახარებული ხალხი აქეთ მოდის.

დავითი. ჰოო... (ისმის რადიოს ხმა. იმეორებენ პრემიერ-მინისტრის გამოსვლას).

-16-

ხმა. ბატონო პრემიერო, შეიძლება?

დავითი. გისმენ.

ხმა. ტირიან.

დავითი. ტირიან? ვინ ტირის, რატომ?

ხმა. სიხარულით ტირიან, ისინი, ვისაც ადოლფ ეიხმანმა შვილები, მშობლები, ძმები გაზით ამოუხრჩო...

დავითი. (სავარძელში ჩაეშვება). გოლდა, პაპიროსი ხომ გაქვს? კარგად მახსოვს, ბაბუაჩემი საქმეს რომ მოითავებდა, გემრიელად გააბოლებდა.

გოლდას ღიმილით შესცქერის. გოლდას მზერაში კი იჭვი ჭარბობს.

გოლდა. თუ სიმართლეს მეტყვი, პაპიროსს მოგცემ: კენიასთან მოლაპარაკებისას მართლა რაიმე გავაფუჭე?

დავითი. (იცინის). მომეცი პაპიროსი, ძალიან მინდა.

გოლდა. ჯერ ის მითხარი...

დავითი. არა, რასაკვირველია, არა, ყველაფერი ახლა შევთხზე.

გოლდა პაპიროსს მიაწვდის. მოუკიდებს კიდევ. შუქი ქრება.

ჩანს ორი პაპიროსის ცეცხლი, კვამლი ნელ-ნელა იფანტება.

ისმის შეძახილები: „დავით“, „დავით“!

4.

იგივე გარემო რამდენიმე დღის შემდეგ. საღამო ხანია. ჭმუნვამორეული დავითი სავარძელში ზის. ჩამავალი მზის სხივი მკრთალად ანათებს ოთახს.

უხმოდ შემოდის გოლდა.

გოლდა. (მიმოიხედავს). შუქი არ ავანთო?

დავითი. (გამოერკვევა) ჰა?

გოლდა. ღამდება, ბნელდება.

დავითი. (ამოიოხრებს). მე კი მერჩია გამეგო პასუხი კითხვაზე: რამ შეიძლება გადა-არჩინოს პატარა ქვეყანა, როცა ირგვლივ არცერთ მეზობელს არ სურს შენი არსებობა. რა არის ის ძალა, რომელიც... (გაჩუმიდება გრძნობს, რომ ამაოა კითხვის დასმა და მწარე ღუმილში ეფლობა. გოლდა ერთხანს გაურკვეველად დგას. მერე დაჯდება). საიდან დავიწყოთ, რომელი გასაჭირით?

გოლდა. არგენტინა შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. თუ ბუენოს-აირესთან საკითხს მოვაგვარებთ, ლათინური ამერიკის სამი სახელმწიფო კვლავ ჩვენს მეგობრად რჩება.

დავითი. (ერთხანს ღუმს). არგენტინა... არგენტინა, თურმე შეურაცხყოფილად გრძნობს თავს... ვაშინგტონი? მე კი მგონია, მთავარი მაინც ვაშინგტონია. ბუენოს-აირესი ასე იმიტომ გვიღრენს, რომ ხედავს, ვაშინგტონმა რამოდენა დამოკლეს მახვილი ჩამო-ჰკიდა ჩვენს თავს.

გოლდა. თუ მოტაცებულ რიკარდო კლემენტს არგენტინაში არ დავაბრუნებთ, ბუენოს-აირესი ჩვენს ელჩს გამოადევებს.

დავითი. რიკარდო კლემენტს არ ვიცნობთ. ამ კაცმა დაპატიმრებისთანავე აღიარა მე ადოლფ ეიხმანი ვარო. იგი ადოლფ ეიხმანად დაიბადა.

გოლდა. ბენ-გურიონ, თუ რიკარდო კლემენტს არგენტინას არ დაუბრუნებთ, ლათინური ამერიკის სამი სახელმწიფო ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტს. ხუთი აპირებდა, მაგრამ...

დავითი. ვინ არის ეგ რიკარდო კლემენტი? არ ვიცნობთ, არც გაგვიგია, არც გვანტერესებს.

-17-

გოლდა. ადოლფ ეიხმანი რიკარდო კლემენტია, იგივე ოტო ჰენიგმანი. მოსადმა არგენტინიდან ძალით გამოიტაცა, არგენტინის კანონები ფეხქვეშ გათელა, ჩვენი მოქალაქის უფლებას ვიცავთ და დავიცავთ.

დავითი. (გოლდას ფურცელს გაუწვდის). მოსადის ხელმძღვანელმა ისარ ხარელმა ამ დილით აი, ეს ლოკუმენტი მომიტანა. დატყვევების შემდეგ ეიხმანს უთხრეს, ისრაელში, ებრაელმა ხალხმა უნდა გაგასამართლოსო და ხელმოსაწერად გადასცეს უკვე დაწერილი თანხმობის ტექსტი. არაო, მე თვითონ დავწერო. მეორე დღეს აი, ეს საკუთარი ხელით დაწერა. წაიკითხე!

გოლდა. (კითხულობს ეიხმანის განცხადებას). „მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ადოლფ ეიხმანი, ამ განცხადებით ვადასტურებ შემდეგს: იმდენად რამდენადაც ჩემი საიდუმლო გახსნილია, აზრი აღარა აქვს მართლმსაჯულებისაგან თავის არიდებას. ამიტომ თანახმა ვარ გავემგზავრო ისრაელში და წარვსდგე უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე. მე მაცნობეს, რომ ჩემს ინტერესებს დაიცავს ადვოკატი. შევეცდები შეულამაზებლად აღვწერო ის მოვლენები, რომლებიც ეხება გერმანიაში ჩემი სამსახურის უკანასკნელ წლებს. მესმის, რომ ეს მომავალ თაობებს შეუქმნის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მოვლენების ზუსტ სურათს. ამ განცხადებას მე ვაკეთებ ჩემის ნებით. არც არავინ მემუქრება და არც რაიმეს მპირდებიან. მინდა, ბოლოსდაბოლოს, ვპოვო მშვიდობა საკუთარ თავში“.

დავითი. კიდევ ერთხელ. ეს პასაჟი კიდევ ერთხელ!

გოლდა. (კითხულობს). მინდა, ბოლოსდაბოლოს, ვპოვო მშვიდობა საკუთარ თავში.

დავითი. მხეცის გაადამიანების პროცესი დაწყებული!

გოლდა. (კითხულობს). „იმის გამო, რომ არ ძალმიძს გავიხსენო ყველა დეტალი და შესაძლოა, ერთმანეთში ავურიო ფაქტები, გთხოვთ ჭეშმარიტების დასადგენად, გამაცნოთ ძიების მასალები და მოწმეთა ჩვენებები.

ადოლფ ეიხმანი, ბუენოს-აირესი. 1960 წლის მაისი“.

დავითი. და არგენტინის ხელისუფლება გვთხოვს ეს კაცი უკან დაგვიბრუნეთო.

ეიხმანს ვერ გაასამართლებს ის ხალხი, ის ქვეყანა, რომლისთვისაც ჩვენნაირი ტკივილი არ მიუყენებია.

გოლდა. ეიხმანს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის გაგასამართლებთო.

დავითი. ჩემთვის კაცობრიობა ეიხმანის მიერ გაზის საკნებში გაგუდული დებით, ძმებით, შვილებით იწყება... არგენტინელებისათვის კი ეგ კაცობრიობა ვილაც ესთერი, რომელიდაც რუთი, შალომკა, ან აბრამია...

გოლდა. მაგრამ მათ აქვთ იურიდიული უფლება მოითხოვონ მისი დაბრუნება.

დავითი. ჩვენ? ჩვენ არაფრის უფლება არა გვაქვს? როცა უზენაესმა ებრაელობა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოიყვანა, რათა ერეც-ისრაელში -- სამშობლოში დაებრუნებინა, უთხრა არწივის ფრთებზე აღგავლენთო. ჩვენ ისევ დაუბრუნდით სამშობლოს და ახლა არწივის ფრთებიდან ჩამოხონება თვითმკვლევლობაა.

გოლდა. ბუენოს-აირესი ჩვენს პასუხს ელოდება.

დავითი. ვერა-რა პასუხს ვერ მივცემ... მე არაფერი შემიძლია. მთავრობას მოვასხენებ. როგორც მთავრობა გადაწყვეტს...

გოლდა. ეს პასუხია. მაშ, კვირას...

დავითი. არა... მომავალ კვირას მთავრობის სხდომა არ გვექნება. მინისტრები მივლინებაში არიან. შესაძლოა, მეც...

გოლდა. გამოდის, რომ... ორი კვირის შემდეგ? ეს ძალიან შორსაა.

დავითი. რა გაეწყობა!

-18-

გოლდა. მაგრამ ეს მაინც პასუხია.

დავითი. დიახ, ასე აცნობე. მე გთხოვე ანალოგიური შემთხვევა მოგენახათ ამერიკის ისტორიაში. ეს ჩვენს მდგომარეობას თუ არ შეცვლის, შეამსუბუქებს მაინც.

გოლდა. ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ძალიან იმეცადინეს საელჩოსა და საკონსულოს მუშაკებმა და მიაგნეს, ერთ ისტორიკოსს პროფესორ როჯერ ფიშერს...

დავითი. ებრაელია?

გოლდა. (პაუზის შემდეგ). არ ვიცი... საკმაოდ მცირე გასამრჯელოს ფასად მოგვიძებნა ანალოგიური შემთხვევა ამერიკის ისტორიაში, რომელიც მდგომარეობას გაგვიი-ოლებს.

დავითი. (დაინტერესებული) რაო, რას ამბობს!

გოლდა. რამდენიმე წლის წინათ პერუში დააპატიმრეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვინმე მაკლეინი. პერუელი ქალწული -- 17 წლის გოგონა გააუ-პატიურა..

დავითი. ერთი ამას დამიხედეთ. თავად რამდენი წლისაა?

გოლდა. (სახტად დარჩა). მესმის, საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც უნდა იცოდეს, რამდენი წლის ყვეჩები აუპატიურებენ 17 წლის გოგონებს, მაგრამ ვაღიარებ: არ ვიცი.

დავითი. ცუდია, ძალიან ცუდი... ნეტა, ჩემი ასაკის, 74 წლის კაცები, როგორ იქცევიან?

გოლდა. ამ ასაკის კაცებს გამოცდილი ქალები თუ გააუპატიურებენ, სხვას არაფერი გამოუვა!

დავითი. (ვითომ დამფრთხალი). შენ რამდენი წლისა ხარ, გოლდა? მაგ ასაკიდან ხომ გამოხვედი?! მერე?

გოლდა. მაკლეინი გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

დავითი. მაგ მაკლეინს საკუთარი თავი გააუპატიურებია და ალბათ, ახლა გაიძახის რა კარგია, რა კარგიაო!

გოლდა. ამერიკელებმა ციხიდან ექვს თვეში გამოაპარეს...

დავითი. ამერიკელებს ციხიდან მოუტაცნიათ.

გოლდა. დიახ, მერე საზღვარზე გადაიყვანეს და...

დავითი. აჰა, ამერიკელები 17 წლის ქალწულის გამაუპატიურებელს იტაცებენ, სხვებს კი თავიანთი ერის...

გოლდა. (აწყვეტინებს). შენ მთავარი არ იცი, ბენ-გურიონ!

დავითი. იმედი მაქვს, გაუპატიურება დამთავრდა.

გოლდა. ქალწულისა კი, საზოგადოებრივი აზრისა -- არა.

დავითი. ეგეც სექსუალური აქტია?

გოლდა. მდიდარი თუ გახდები, ყველაფერი შეგიძლია.

დავითი. მაინც რაო?!

გოლდა. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ ეს აქცია სავსებით სამართლიანად სცნო.

დავითი. სამართლიანად? მაშ, ჩვენგან რაღა უნდათ? ჩვენ გამოვიტაცეთ ადამიანი,

რომელსაც ებრაელი ერის განადგურება ეწადა. მოსპო კიდევ ექვსი მილიონი. სად არის ფიშერის დოკუმენტი? ზვალვე პრესაში! იქნებ, ამერიკულ პრესაში!

გოლდა. გუშინ „ნიუ-იორკ თაიმსში“ დაიბეჭდა. თავად ფიშერმა გამოაქვეყნა და პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ბრალი წაუყენა საკუთარი ქვეყნის ისტორიას კარგად რომ იცნობდე, ეიზმანის დაბრუნებას არ მოითხოვდიო.

დავითი. (გაოცებული, იქნებ, ბრანზმორეულიც). რაო, რაო? რა თქვი?

გოლდა. დემოკრატმა ფიშერმა რესპუბლიკელ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს საკუთარი სამშობლოს ისტორიის უცოდინარობაში დასდო ბრალი.

დავითი. (იფეთქებს). რატომ, რატომ ასე უგუნურად! ასე უჭკუოდ რატომ იქცევიან

-19-

თქვენი ჩინოვნიკები. ხუთ თვეში პრეზიდენტის არჩევნებია. ეიზენჰაუერი ხომ იძულებული გავხადეთ თავი დაიცვას. ყველას დაუმტკიცოს, რომ ამერიკის ღირსებას და ინტერესებს იცავს. ეს უვიცობაა, უმსგავსობაა! (პაუზა). რას გაჩუმებულხარ, პასუხს რატომ არ მაძლევ?

გოლდა. იმიტომ, რომ.. არაფერი მაქვს სათქმელი... ასეც მოხდა.

დავითი. ასეც მოხდა? რა მოხდა?

გოლდა. გუშინ არგენტინის მთავრობამ გაეროს უშიშროების საბჭოში გვიჩვილა.

დავითი. ეგ ვიცი.

გოლდა. დღეს არგენტინის პრეზიდენტმა განაცხადა ისრაელი აიძულეთ არგენტინის სუვერენიტეტს პატივი სცეს და თუ ამას ვერ მიაღწევთ, მკაცრად დაისჯოსო.

დავითი. მერე?

გოლდა. ორიოდ საათში სახელმწიფო დეპარტამენტმა ბრძანა უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვისას არგენტინის სუვერენიტეტი უსათუოდ უნდა იქნას გათვალისწინებულიო. ამით უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს რაც მიანიშნა, გასაგებია.

დავითი. ის კი დავივიწყოთ, რომ ამ კაცმა ცამეტი მილიონი ადამიანის დახოცვის გეგმა შეიმუშავა? (პაუზა). ეიზმანის ისრაელიდან გაშვება არ შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, ის ექვსი მილიონი ისევ დავსაჯოთ, ისევ გაზით გავგულოთ.

გოლდა. მაგრამ არც ის შეიძლება, ამერიკა მტრად ვიქციოთ.

დავითი. (სინანულით). ამერიკა, ამერიკა! მაძლარი, ღონიერი, ძლიერი...

დაბნელება

5.

ავანსცენაზე ჯოელ ბრანდი გამოდის.

ბრანდი. მე, ჯოელ ბრანდი -- უნგრეთის ებრაული კომიტეტის წევრი ვიყავი. გერმანელები ბუდაპეშტში 1944 წლის 13 მარტს შემოვიდნენ. ეიზმანი მალე ბუდაპეშტში გაჩნდა და დაიწყო ებრაელთა გეტოში შეყრა. აპრილის ბოლოს ათას ხუთასი ებრაელი გაგზავნა ოსვენციმში. ივნისის დასაწყისში კი რუდოლფ კასტნერს უთხრა:

ეიზმანი. თქვენ მეკითხებით, სად არის ის 1500 ებრაელი? არ ვიცი. რად გინდათ? რატომ კითხულობთ? დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: იმათგან ცოცხალი არცერთი, არცერთი არ დაბრუნდება.

ბრანდი. ეიზმანმა 27 ივნისს ოთხასი ათას შვიდასი ებრაელი ოსვენციმში გაგზავნა. ივლისის დამდეგს ჩემთან მოვიდა გერმანელი ოფიცერი და სატუმრო „მაჟესტიკში“ წამიყვანა. აქ იყო გერმანელთა შტაბ-ბინა.

ეიზმანი. მე სომ მიცნობთ, მე ობერშტურმანფიურერი ადოლფ ეიზმანი ვარ. მე ვხელმძღვანელობდი ებრაელთა დეპორტაციის ოპერაციებს გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საბერძნეთში, საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში, ყველგან, სადაც კი ჩვენმა ჯარისკაცმა ფეხი დადგა, ებრაელები მე გავგზავნე (გაჩუქდება, ბრანდს უსიტყვოდ შესცქერის). მილიონობით ებრაელი... თქვენზე მითხრეს, გონიერი კაციაო... თქვენთან შეიძლება ამ საკითხზე საუბარი. მზადა ხართ?

ბრანდი. დიახ, გისმენთ, იქნებ, რაიმე სასიკეთო გავაკეთოთ.

ეიზმანი. მე შემიძლია მოგიყვინოთ ებრაელები. საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოვიყვან თქვენს ხალხს და მოგართმევთ იქ, სადაც მეტყვით. მხოლოდ...

ბრანდი. ეს კარგია, ძალიან კარგი!

ეიზმანი. თქვენ ორი რამ გევალებათ: პირველი. უნდა გადაწყვიტოთ როგორი ებრაელების გადარჩენა გსურთ -- იმათი, ვისაც დაფეხმძიმება შეუძლია, თუ... ხანდაზმულ-

-20-

თა. ჩვენ შეგვიძლია მოგიყვინოთ ერთი მილიონი რუსი, პოლონელი, უნგრელი, ბერძენი, უკრაინელი, ბელორუსი, ფრანგი -- ყველა ჯურის ებრაელი 10-დან 60 წლამდე.

ბრანდი. ძალიან კარგი, მე მზადა ვარ.

ეიზმანი. მეორე: ჩვენ ფული არ გვჭირდება. ფული ძალიან ბევრია... ჩვენ ამერიკული სატვირთო მანქანები გვჭირდება. ათი ათასი სატვირთო მანქანა. თქვენ მოიყვანთ ათი ათას ახალ სატვირთო მანქანას, მე ერთ მილიონ ებრაელს მოგიყვინოთ ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე. გნებავთ, იმ თქვენს იაფოსთან. მე ვიცი, თქვენ ამდენი ფული არა გაქვთ. ებრაელებს კი ეკრძალებათ საცხოვრებელი ადგილების დატოვება. ამიტომ მე მოგცემთ გერმანულ პასპორტს, ჩაგსვამთ გერმანულ თვითმფრინავში, გაფრინდით სტამბულში, შეაგროვეთ ფული. ამერიკელებთან გამართეთ მოლაპარაკება ათი ათასი საბარგო მანქანის თაობაზე და დაბრუნდით. მე გეტყვით, მანქანები სადაც უნდა გავგზავნოთ. აი, პასპორტი, თვითმფრინავი სადამოს 17 საათზე მიფრინავს. წარმატებას გისურვებთ!

ბრანდი. (დაბნეული). კი, მაგრამ... ებრაელები საკონცენტრაციო ბანაკებში არიან, საიდან, როგორ... ამას დრო უნდა.

ეიზმანი. ათ დღეს გაძლევთ... თქვენი მეუღლე, სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი უკვე ჩვენთანაა, სიძეც, რძლებიც... ისინი ორ კვირას დაგელოდებიან, ორი კვირის შემდეგ... ძებნას ნუღარ დაუწყებთ, იქ იქნებიან, სადაც მილიონობით ებრაელია, ესე იგი (სივრცეზე მიუთითებს. მიდის).

ბრანდი. არა, ეს შეუძლებელია... ორ კვირაში ეს ვერ მოესწრება... ამდენი საბარგო მანქანა...

ეიზმანი. ორი კვირა, მხოლოდ ორი კვირა!.. ათი ათასი საბარგო მანქანა! ასე ებრაელი ერთი მანქანის სანაცვლოდ! ასე ებრაელი... მინიმალური რაოდენობა -- ათი ათასი მანქანა, მაქსიმალური -- რამდენიც გენებოთ, მაგრამ ათი ათასზე ნაკლებს არ მივიღებთ. (გადის).

შუქი სცენაზე.

დავითი. ბრანდი მე დამიკავშირდა. მეორე დღესვე სტამბოლს გავჩნდი. ერთი მილიონი ებრაელის გადარჩენა, ერთი მილიონი ებრაელის სიცოცხლის ხსნა... ამ ბებერ, ქანც-გამოცლილ ქანაანში ერთი მილიონი ებრაელის ერთბაშად მოსვლა...

გოლდა. მე ეგ ამბავი არ მახსოვს. რატომ არ ვიცოდი?

დავითი. (პაუზის შემდეგ). ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხს ველოდი. თუ კარგად დამთავრდებოდა ყველაფერი, გაიგებდი, თუ არა და...

ქალბატონი სტიუარტი. (შემოდის). ბატონო ბენ-გურიონ, სახელმწიფო დეპარტამენტი გააკეთა ანალიზი ეიხმანის წინადადებისა, ანალიზის შედეგად დავრწმუნდით, რომ ეს უაზრო გარიგებაა. გერმანელები ჩვენ უკვე წელში გავტეხეთ, გერმანელებს საქმე ცუდად მისდით... თუ ჩვენ ახლა მას ათი ათას სატვირთო მანქანას მივცემთ, ღონეს შევმატებთ, გავაძლიერებთ.

დავითი. ქალბატონო სტიუარტ, აქ მთავარი არა სატვირთო მანქანები, ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლეა, ერთი მილიონი გადარჩენილი სიცოცხლე!

სტიუარტი. დიას. ეს მნიშვნელოვანია, უთუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ გაძლიერებული, ღონემოცემული ვერმანტი რამდენი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს? ეს სტრატეგია ჩვენ არ გამოგვადგება, ბატონო ბენ-გურიონ! ვწუხვართ, მაგრამ რა გაეწყობა! (გადის).

პაუზა. მრავალმნიშვნელოვანი დუმილი.

გოლდა. არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიოგენ ტაბოატა ნოტას გვიგზავნის და ისევ „ადექვატური ანაზღაურებას“ მოითხოვს.

-21-

დავითი. ეგ „ადექვატური ანაზღაურება“ რაღა არის?

გოლდა. ეიხმანის დაბრუნება. ისრაელის ხელისუფლება ისეთი ხმაურით, ქება-დიდებით შეხვდა ეიხმანის გამტაცებლებს, რომ ცხადია, ოპერაციას მთავრობა ხელმძღვანელობდა და მხოლოდ „ადექვატური ანაზღაურება“ მოაგვარებს ამ საკითხს.

დავითი. ორიოდ დღეში პარიზს მივფრინავ გენერალ დე გოლთან შესახვედრად, გავიგე, არგენტინის პრეზიდენტი ფრონდისი რომს მიფრინავს და ხუთშაბათს შვეიცარიაში იქნება. დაუკავშირდით საელჩოს, მზადა ვარ იქ ჩავიდე, სადაც პრეზიდენტი ფრონდისი ისურვებს. შევხვდებით და ყველაფერზე შევთანხმდებით.

გოლდა. იქნებ, ის ვაცნობოთ, რომ თქვენც ევროპაში იქნებით? აჯობებდა შეხვედრის ინიციატივა მისგან წამოსულიყო.

დავითი. აჯობებდა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის -- მდგომარეობა გამწვავდა.

გოლდა. მოდით, წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: დადგეს სამი ადამიანი ბროდვეიზე, და ას გამვლელს ჰკითხოს ვინ არის არტურო ფრონდისი, დარწმუნებული ვარ, 90 მხრე-ბს აიწურავს. შემდეგ იმავე ას ადამიანს ჰკითხონ ვინ არის დავით ბენ-გურიონი. 90 ღიმილით იტყვის ისრაელის პრემიერ-მინისტრიაო, ათი მხრებს აიწურავს. ასე რომ...

დავითი. ჩემს ქვეყანას ასე სჭირდება და მზად ვარ პარიზიდან ფეხით წავჩანჩაღდე რომამდე, გნებავს, ციურიხამდე, ოლონდაც კი...

დაბნელება

6.

განათლება ავანსცენა. გოლდა სელექტორს უსმენს.

მამაკაცის ხმა. ხომ გესმით ჩემი?

გოლდა. კარგად მესმის, განაგრძეთ!

ხმა. (მშვიდი, აუჩქარებელი ინტონაციით). ამ საქმეში ჩვენი მთავარი ორიენტირი შეერთებულ შტატებში კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნებია. არჩევნების წინ ვაშინგტონი ერიდება მკვეთრ მოქმედებას. ნიუ-იორკში, აქ, ვაშინგტონში, ვეძებთ გავლენიან ადამიანებს, რომლებიც რესპუბლიკელთა კანდიდატს -- რიჩარდ ნიქსონს მოელაპარაკებიან. კინოკომპანია „პარამაუნტ პიქჩერსის“ პრეზიდენტს ბარნი ბალაბანს

ძლიერ სწავლია ნიქსონის გამარჯვება. მან იცის: თუ არჩევნების წინ ამერიკის ებრაელობა ნიქსონს მოაგონებს, რესპუბლიკელმა ეიზენჰაუერმა როგორ არ მისცა ისრაელს ფაშისტი ბოროტმოქმედის დასჯის საშუალება, დიდმა, ძლიერმა ქვეყანამ როგორ შეავიწროვა პატარა ისრაელი, ეს ნიქსონის დამარცხებას ნიშნავს. ბალაბანი კი თავგამოდებული რესპუბლიკელია და ამის წარმოდგენაც უჭირს. ის ახლა ნიქსონთან შეხვედრას გეგმავს.

გოლდა. ეგ ბალაბანი ებრაელია?

ხმა. (პაუზის შემდეგ). ამერიკელი ებრაელები უწინარესად, ამერიკელები არიან და მერე ებრაელები. ეს კი უფრო მეტად რესპუბლიკელია, ვიდრე ამერიკელი და ვიდრე ებრაელი. ამიტომ ცდილობს პარტიამ შეცდომა არ დაუშვას. მან იცის: თუ ეიზენჰაუერი თავისას გაიტანს, რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატი ბევრ ხმას დაკარგავს.

გოლდა. (ფიქრიანად). თუ ეიზენჰაუერმა თავისი გაიტანა, ხმათა რამდენ პროცენტს დაკარგავენ რესპუბლიკელები?

ხმა. ძნელია ერთბაშად გამოანგარიშება. ეს დამოკიდებულია იმაზე ფაშისტის რამდენი მოძულე განუდგება რესპუბლიკელებს... ამას მიუმატეთ ებრაელთა თანამგრძობნი... მეგობრები... ნიქსონი ბევრ ხმას დაკარგავს... კიდევ ერთი მომენტი... ეიზენჰაუერის ასეთ დაჟინებას როგორ გამოიყენებენ დემოკრატები... რესპუბლიკელებს იმასაც გაუხსენებენ, ეიზენჰაუერმა არჩევნებში გამარჯვებისთანავე იარაღი რომ არ მიჰყიდა ისრა-

-22-

ელს. ნიქსონს ყველაფერ ამას დაულაგებენ მაგიდაზე და...

გოლდა. კარგით... გადაეცით ჩვენს მეგობრებს ამერიკაში, რომ არაფერს დავიშურებთ ფაშისტი ბოროტმოქმედის დასასჯელად.

ავასცენაზე შუქი ჩაქრება.

7.

შუა სცენაზე მაგიდა დგას -- სამი პერსონისათვის გაშლილი სუფრა.

შემოდის გოლდა. გაშლილ სუფრას გაოცებული შესცქერის,

ირგვლივ უვლის, აკვირდება.

დავითი. (შემოდის). რასაკვირველია, არ ელოდი.

გოლდა. რა ხდება?

დავითი. არაფერი, სრულიად არაფერი! თქვენ სულ დაჰკარგეთ პატივისცემა. პრემიერ-მინისტრი ვარ და ერთხელაც არ დამპატიჟეთ. ისევ მე გადავწყვიტე სადილზე მოვიწვიოთ.

გოლდა. ციხეში? პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სადილი ციხეში! მესამე ვინ არის? პროკურორი, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი? ან იქნებ, რომელიმე ახალგაზრდა რეფორმატორი მინისტრი. თუმცა... თუმცა, მათ აქ ვერ მოიწვევთ, არც სცალიათ, ზოგი ამერიკაშია, ზოგი გერმანიაში, ზოგიც...

დავითი. ძალიან მიუხვედრელი ხართ ჩვენი მინისტრები, მეტისმეტად!

გოლდა. ციხის უფროსი?

დავითი. ნაცისტი ადოლფ ეიხმანი!

გოლდა. (მოულოდნელობისაგან სუნთქვა შეეკრა). ვინა?

დავითი.. ნაცისტი ბოროტმოქმედი ადოლფ ეიხმანი!

გოლდა. კი მაგრამ... კი, კი... ეს ხომ... როგორ... თქვენ!

დავითი. მე მასთან საუბარი მწადია.

გოლდა. (შეძრწუნებული). ისრაელის პრემიერ-მინისტრი სადილს უმართავს ნაცისტ ეიხმანს, ვინც ექვსი მილიონი ებრაელი დახოცა (ენა ებმის). ეს გაუგონარია, წარმოუდგენელია!

დავითი. ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია!

გოლდა. (დავითის სურვილს ასაკმორეული კაცის ახირებად მიიჩნევს. შეგონების ინტონაციით). გუშინ შეაჩერეთ ახალი კანონის მოქმედება, რომლითაც ჩვენ სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ. ამით თქვენ სასამართლოს მიანიშნეთ, რომ ეიხმანი ძველი, ბრიტანული სამანდატო პალესტინის კანონით უნდა გასამართლდეს. ე.ი. შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს. ხვალ ეიხმანს განაჩენს გამოუტანენ. ხომ ასეა?

დავითი. დაგუშვათ, რომ ასეა.

გოლდა. ვიდრე ეიხმანი არ დაისჯება, სახელმწიფოს კანონი გაუქმებულია. რა დროს სადილია, ბენ-გურიონ!

დავითი. მინდა განაჩენის გამოტანამდე ეიხმანს ვესაუბრო.

გოლდა. კი, სინანული ტანჯავს -- ვერ მოასწრო ყველა ებრაელის განადგურება!

დავითი. ხომ შეიძლება მისი ადვოკატი ხვალ განაჩენს არ დაეთანხმოს, დემოკრატია კი, კარგად იცი...

გოლდა. ბენ-გურიონ, დემოკრატია ჩემი ბიძაშვილია და ძლიერ მიყვარს, ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული, ერთად ვიზრდებოდით ამერიკის ერთ პატარა ქალაქში, მაგრამ ჩემი ხალხის უსაფრთხოება და მომავალი -- დედაა ჩემი. ჯერ ხალხის ბედი, მომავალი, მერე ამ ხალხის დემოკრატიული ყოფა! (პაუზა). არც ჩემი უდანაშაულო, საბრალო ხალხი ეთანხმებოდა მაგის გადაწყვეტილებებს... ექვსი მილიონი, ექვსი მილიონი ადამიანი არ დაინდეს!

-23-

დავითი. ეჰ, გოლდა, გოლდა! თალმუდი დაგვიწყნია -- ერთი ადამიანის სიცოცხლე მთელი სამყაროს სიცოცხლის ტოლფასია, რადგან ადამიანშია სამყარო.

გოლდა. (გაცხარებული). არა, არა, არა! ისინი ჩვენ ადამიანებად არ გვთვლიდნენ, იცი, ეგ ეიხმანი დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში რას აკეთებდა? დეიდაჩემმა მიაძხო: მინდორში, როცა ესენი თივას ამზადებდნენ, ტყვეების თვალწინ ჩაიხდიდა შარვალს, ჩაცუცქლებოდა და მოისაქმებდა... თუ ხვდები, ასე რატომ იქცეოდა?

დავითი. ტყვეებს ადამიანებად არ მიიჩნევდა.

გოლდა. ისე მოისაქმებდა, როგორც ქათმების, ძაღლების თვალწინ მოისაქმებენ ადამიანები.

დავითი. შურისძიების გზით ვიართ?

გოლდა. რისთვის უნდა ესაუბრო -- მისი ბოროტებისა არ გჯერა?

დავითი. ბოროტება! ბოროტება არ არის საინტერესო. ეგ ისედაც ცხადია. საინტერესოა ის, რაც ბოროტების ირგვლივია, ის, რაც ბოროტებას ქმნის...

გოლდა. (კატეგორიულად). მე ამ მიპატიჟებას ვერ მივიღებ! ხომ მაქვს ამის უფლება! სადილზე მიპატიჟება სამსახურეობრივი საქმე არ არის.

დავითი. (სევდამორეული -- მას ვერ უგებენ). სამსახურეობრივი საქმე... მწერალს, მხატვარს, პოეტს არა აქვს სამსახურეობრივი საქმე და აქვს უფლება არ გააკეთოს ის, რაც არ მოსწონს. პოლიტიკოსმა კი უნდა გააკეთოს ის, რაც საჭიროა. იქნებ, არ მოგწონდეს, იქნებ, გულიც გერეოდეს, მაგრამ შენ ხომ სახელმწიფო მოღვაწე ხარ და არა პოეტი -- თავისუფალი ადამიანი. შენ ხომ საკუთარი სურვილით დაიდე ხელებზე ეს ბორკილები, იბრძოლე კიდევ ამ ბორკილების მოსაპოვებლად, სხვები დაამარცხე, მათ არ მიეცი საშუალება...

გოლდა. (აწყვეტინებს). შინ რომ დავბრუნდები, დეიდაჩემს რა ვუთხრა იმის გამო რომ პოლიტიკური მოღვაწე ვარ, ახლახან ადოლფ ეიხმანთან ვისადილე-თქო?!

დავითი. (უცებ იფეთქებს. სკამს აიღებს, იატაკს დაახეთქებს) მე კი ჩემს დას, ჩვენს ნაბოლარა ცისფერთვალება რუთის, ვერც ვერაფერს ვეტყვი. ვერ ვაცნობებ ახლახან ეიხმანთან ვისადილე-მეთქი -- სწორედ ეიხმანისეულ გაზის საკანში გაგუდეს ფეხმძიმე რუთი. რამდენი წელიწადი არ უჩნდებოდათ შვილი... მერე... (უცებ მოთოკავს თავს. გაჩუმდება, გაირინდება. ერთხანს უხმოდ დგას) წადი, აქ პოეტებს არაფერი ესაქმებათ. აქ სასტიკი, დაუნდობელი დიქტატორი დავით ბენ-გურიონი უნდა იდგეს. შენ კი... (სკამზე დაეშვება).

გოლდა. (მიუახლოვდება). მე გთხოვ, ბენ-გურიონ, არ არის საჭირო... გთხოვთ!

დავითი. ყოჩაღ, მომილოცავს. შენ უკვე გამარჯვებული ხარ -- მხოლოდ იმას აკეთებ, რაც სიამოვნებას მოგანიჭებს. წადი, წადი!

გოლდა. (თითქმის თავისთვის). მე მესმის თქვენი... მინდა გაგიგოთ და მესმის კიდევ... მაგრამ არ შემიძლია, არ შემიძლია...

დავითი. არ შეგიძლია და მიდიხარ! ესე იგი ბედნიერი ხარ--აკეთებ იმას, რაც გსურს.

თავჩაქინდრული ზის. გოლდას გასვლა უნდა, ვერ ახერხებს, ადგილიდან ვერ იძვრის. ხმადაბლა იწყებს.

დიდებული დღე გათენდა... ისეთი დილა იყო, ადამიანს სიხარულით აგავსებდა, რწმენას შეგმატებდა... იუდეის მხრიდან ამოსული მზე სამყაროს აბრწყინებდა... მზის სხივები ცეკვაავდა ხეთა ფოთლებზე, ასფალტზე, ავტობუსის სახურავებზეც კი... მხნეობას გმატებდა, ბედნიერს გყოფდა, მაგრამ... როგორც კი ეს წუთები მაგონდებოდა, როგორც კი მახსენდებოდა, რომ დღეს უნდა შევხვდე ადამიანს, რომლის ცხოვრების მთავარი საქმე განა ერთი, ორი, ან ათი ადამიანის მოკვლა, მთელი ერის, ჩემი ხალხის მოსპობა იყო, (პაუზა). დამწვრის სუნი მცემდა, გოლდა, კრემატორიუმში დამწვარ ადამიანთა სუნი! (პაუზა. ერთხანს იატაკს დასცქერის). ხომ ამდენი წელი

-24-

გავიდა, ხომ ამდენი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ზოგჯერ ერთი დღე მთელი სიცოცხლის საქმეს იტევდა, მაგრამ კრემატორიუმებში გამომწყვდეულ და დამწვარ ადამიანთა სუნი ერთი დღითაც არ მომშორებია... მუდამ თან მახლავს, დღეს კი... ეს დიდებული, ეს ღმერთის მიერ სიხარულის მომგვრელად შექმნილი სრულქმნილი სამყარო კრემატორიუმებში დამწვართა სუნით გაიჟღინთა. ასფალტის მტვერი ფერფლად მიჩნდა, სამყარომ სახე იცვალა... სიხარულის მომგვრელი სანახაობა სიმახინჯედ, ჯოჯოხეთად იქცა. ჩემს გუშინდელ განკარგულებას ვილაც შეუსვენებლივ მიკითხავდა. დაამთავრებდა თუ არა, სულსაც არ მოითქვამდა, ხელახლა იწყებდა... მიკითხავდა, როგორც სასჯელს, განაჩენს... ჩვენს ერს ექვსი მილიონი ადამიანის სიცოცხლე მოუსპეს... ექვსი მილიონი ადამიანის... და როგორც კი ებრაელობამ თავისი სახელმწიფო შეჰქმნა, სიკვდილით დასჯა აკრძალა... სიკვდილით დასჯა აკრძალა იმ ერმა, რომელსაც ირგვლივ მტრები ახვევია და ეს მტრები განა მის დამარცხებას, დამორჩილებას, მთლიან განადგურებას ლამობენ... ო, კაენ, კაენ, რამოდენაა შენი აჩრდილი, რა უხარმაზარი!

ერთხანს თავდახრილი ზის.

გოლდა. (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ). ბენ-გურიონ, არგენტინის პრეზიდენტმა ფრონდიზიმ გამოაცხადა, ბენ-გურიონს არ შევხვდებიო.

დავითი. (ერთხანს უხმოდ შესცქერის გოლდას. მის მზერაში სევდა იკითხება). ყოველი დღე, ყოველი დღე ოფლსა და სისხლს მოითხოვს ჩვენგან. შენ იცი, ეგვიპტელთა მონობიდან განთავისუფლებულნი, აქ რისთვის დაგვასახლა ღმერთმა? (გოლდა უხმოდ შესცქერის) არა, არ იცი: ხელის გულზე მოგვიქცია, დღესაც ისევე დაგვცქერის, როგორც მაშინ, სინაის მთასთან... უდაბნოში გვითხრა არწივის ფრთებზე შეგვამთო. იმად შეგვსვა, რომ ჩამოვარდნის, უფსკრულში გადაჩეხვის შიშით, თვალი ვერასოდეს მოვხუჭოთ, სული ვერასოდეს მოვითქვათ. ვერ იქნა და მეზობლებს, ვერც სხვებს, ვერ გავაგებინეთ: ამ მზის ქვეშ ჩვენც გვეკუთვნის ადგილი, ძლიერ გვინდა თქვენს გვერდით ვიდგეთ, ადამიანებო, თქვენთან ერთად ვსვამდეთ წყალს, ვსუნთქავდეთ ჰაერს, ვტეხდეთ პურს... მაგრამ.. (პაუზა) აი, დავსჯით ეიხმანს, მართლმსაჯულება ჩამოახრჩობს მას, ისე როგორც ესთერისა და ჩვენი ერის მოსპობის მსურველი ამანი ჩამოახრჩო ერთ დროს... რამდენი ამანი, რამდენი ეიხმანი დაუსჯია ჩვენს ხალხს, მაგრამ... იწყება ახალი დღე და ისევ ახალი ეიხმანები, ამანები, ჰიტლერები ჩნდებიან...
გოლდა. ჩვენ კი ვართ ბენ-გურიონ, ჩვენ მაინც ვართ...

დავითი ღრმად ამოიოხრებს და საგარძელში ჩაეშვება.

დავითი. (თითქმის თავისთვის) კი, ვართ, ჩვენ ვართ, მაგრამ...

ისმის ნაბიჯების ხმა -- ვიღაცა მოდის. დავითი და გოლდა დაძაბული შესცქერიან შემოსასვლელს. არავინ მოდის, ხმა კი ძლიერდება. მოულოდნელად მას აფეთქების ხმა გადაფარავს. ამ ხმას ადამიანთა შემზარავი კივილი მოსდევს -- ადამიანები მშველელს უხმობენ, მაგრამ ნაცვლად მშველელისა, მოზარდთა აგრესიული ყიჟინა გაისმის.

სცენის სიღრმიდან მოდის ეიხმანი.

ეიხმანი (გარემოს ღიმილით მოავლებს თვალს). ხომ არ შეშფოთდით? არაფერია, არაფერია!

კვლავ აფეთქება. კვლავ ადამიანთა შემზარავი კვნესა, კივილი.

-25-

ჩვენ აი, იმ ადამიანების სულებში გვიგულებთ, ჩვენ იქ განვაგრძობთ სიცოცხლეს... იქა ვართ, იმათ შორის... ჩვენ არ ვჩქარობთ...

გოლდა შემკრთალი, შეშფოთებული შესცქერის დარბაზს.
დავითი მშვიდად წამოდგება, მაგიდასთან ბუზების საკლავს დაეძებს, მონახავს, ბუზებს ეპარება, დროა დრო მოყიჟინეთა მზარეს გაიხედავს.
ყიჟინა ძლიერდება, დავითი ბუზებს ეპარება, რამდენიმეჯერ მოიქნევს კიდევ ბუზების საკლავს.

ფარდა

